საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომლისაც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 19-21 მარტი. 2021 წ. №57-58 (9176-9177) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

თავკერძა ოპოზიცია, რომელიც შალიკოს ფანჩატურსაც ვერ ავსებს, ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო სირცხვილია!

ირაკლი კობახიძე: საზოგადოებამ დაინახა და ყველას შეფასებით არჩევნები იყო სამართლიანი, მაგრამ მაინც არიან გაჯიქებულები და არ შედიან პარლამენტში. საზოგადოება ამას ხომ ხედავს და აფასებს და, ბუნებრივია, მათი პოზიციები საზოგადოებასთან მიმართებით კიდევ უფრო შერყეულია, ვიდრე ეს თუნდაც არჩევნების წინ იყო. აქედან გამომდინარე, თუ ასე გააგრძელებენ, კიდევ უფრო მძიმედ წავა მათი საქმე...

აი ვინ ასულდგმულებს გაჯორებულ ოპოზიციას

მიხეილ სააკაშვილი:

„ევროპა არა... ტოროლა“...

რა ევროპაზე ვლაპარაკობთ? ერთი ოლიგარქის ბოსტანი ვართ, ევროპა არა... ტოროლა. ერთხელ და სამუდამოდ, საქართველო რომ გახდეს დემოკრატია, ესენი მშვიდობიანად უნდა ჩამოშორდნენ ხელისუფლებას“...

პროტესტი გალიდან:

ვის უყურადღებობას შეეწირა ნარგიზ აბუთიძის სიცოცხლე?!

11

კრისტიან ფორსტნერი: გერმანია თავს იკავებს რუსეთთან დავების მქონე ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ნატოში გაწევრებისგან

8

რუსეთი არის ძალა, რომელიც მუდამ უნდა გაითვალისწინო!

2

სალომე ზურაბიშვილი:

აუცილებელია, ეს საშუალება გამოვიყენოთ, რათა დავიცვათ საზოგადოება და გამოვიდეთ კრიზისიდან

ანზორ თოთაძე:

სირცხვილი ხან იმას გვიკრძალავს, რასაც კანონი არ კრძალავს...

6

თურქული ფილმების შემოტევის გამო

სინამდვილის პირისპირ

აზერბაიჯანი და საქართველო ორი ერთმანეთის ერთგული ძმაა...

4

ქალები, რომლებმაც სხვა ადამიანებისთვის თავი გაწირეს

7

მათ უარი თქვეს ოჯახზე და პირად ბედნიერებაზე. ჯანმრთელობა და სიცოცხლეც კი შესწირეს ადამიანების გადარჩენას და სანაცვლოდ არაფერი უთხოვიათ.

ირაკლი ღარიბაშვილი: იმედი მაქვს, რომ ოპოზიციის კონსტრუქციული ნაწილი გონივრულ, სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებას მიიღებს

ჩვენ მოვისმინეთ ჟოზეფ ბორელის შეფასება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ რეალობასა და არჩევნებზე, რომელიც, მათი შეფასებით, ჩატარდა თავისუფალ, კონკურენტულ და სამართლიან პირობებში. აქედან გამომდინარე, მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ ხელოვნურად შექმნილ პოლიტიკურ კრიზისს არავითარი საფუძველი არა აქვს, — ამის შესახებ გუშინდელ მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა. პრემიერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მზაობა, რომ გაგრძელდეს კონსტრუქციული დიალოგი და რაც შეიძლება მოკლე დროში შედგეს შეთანხმება. მან ასევე იმედი გამოთქვა, რომ ოპოზიციის კონსტრუქციული ნაწილი ამ დღეებში გონივრულ, სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებას მიიღებს.

„ჩვენ გავმართეთ ძალიან წარმატებული ვიზიტი ბრიუსელში. შედგა შეხვედრები უმაღლეს დონეზე როგორც ევროკავშირში, ისე ნატოში. ჩვენ გვქონდა ძალიან წარმატებული განხილვა ყველა იმ რეფორმის, პროგრესის, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ ყველამ ერთად. უნდა აღინიშნოს, რომ ის რეფორმა, ის პროგრესი, რომელიც ჩვენ წარვადგინეთ, არის ყველას მიერ აღიარებული. ამიტომ მე მინდა, ყველას მადლობა გადაგიხადოთ, ყველა საჯარო მოხელეს, ვინც ჩართულია ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციის პროცესში.

ჩვენ მოვისმინეთ ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის ბორელის შეფასება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ რეალობასა და არჩევნებზე, რომელიც, მათი შეფასებით, ჩატარდა თავისუფალ, კონკურენტულ და სამართლიან პირობებში. აქედან გამომდინარე, მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს ხელოვნურად შექმნილი პოლიტიკური კრიზისისა. შესაბამისად, მინდა კიდევ ერთხელ მოვუწოდო ყველა მხარეს, რომ მაქსიმალურად მოკლე დროში შევძლოთ კონსტრუქციული დიალოგის ფარგლებში გამოსავლის მოძებნა, რათა ქვეყანა დაუბრუნდეს ნორმალურ პოლიტიკურ ცხოვრებას და გავაგრძელოთ ისეთ გამოწვევებთან ბრძოლა, როგორიცაა კოვიდპანდემია, ეკონომიკური პრობლემები, ოკუპაცია, უმუშევრობა და ა.შ. იმედი მაქვს, რომ ოპოზიციის კონსტრუქციული ნაწილი ამ დღეებში გონივრულ, სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებას მიიღებს. კიდევ ერთხელ ვადასტურებთ მზაობას, რომ გავაგრძელოთ კონსტრუქციული დიალოგი და რაც შეიძლება მოკლე დროში მივაღწიოთ შეთანხმებას“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ჰუბერტ ქნირში: ევროკავშირის პოზიციაა, რომ პარტიები უნდა შევიდნენ პარლამენტში

„ევროკავშირის ყველა ქვეყნისა **და თვითონ ევროკავშირის პოზიციაა, რომ პარტიები, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა, უნდა შევიდნენ პარლამენტში“,** — ამის შესახებ საქართველოში გერმანიის ელჩმა, ჰუბერტ ქნირშმა გადაცემაში „უცნობის კიდობანი“ განაცხადა.

„ევროკავშირის ყველა ქვეყნისა და თვითონ ევროკავშირის პოზიცია არის, რომ პარტიები, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა, უნდა შევიდნენ პარლამენტში და აქ საუბარი არ არის ახალ არჩევნებზე. ასევე, ახსენეთ პოლიტპატიმრების გათავისუფლება; ჯერ არ მომისმენია ევროკავშირის ოფიციალური განცხადება, სადაც ვინმე ითხოვს პოლიტპატიმრების გათავისუფლებას. ვხედავ, რომ საქართველოში არის უნდობლობა სასამართლოს მიმართ.

ძალიან ბევრი ფიქრობს, რომ სასამართლო არ იღებს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას და აქ შეიძლება, იყოს პოლიტიკური ზეგავლენა. მხოლოდ მაშინ, როდესაც განხორციელდება ისეთი რეფორმები, რომ სასამართლოს შეეძლება, მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და ამან მოიპოვოს ნდობა მოსახლეობაში, ეს იქნება გადამწყვეტი ნაბიჯი და დემოკრატიისთვის მართლაც სასიცოცხლოდ აუცილებელი რამ. როგორ გაკეთდება ეს, ძალიან რთული საკითხია, დეტალები განსახილველია, მაგრამ არ შეიძლება, პარტიები დასხდნენ და იმსჯელონ — „ეს უნდა გამოვუშვათ და ეს უნდა ჩავსვათ“, — განაცხადა ჰუბერტ ქნირშმა.

ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისისთვის დრო არ გაქვთ!

NATO-ს გენმდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი ბრიუსელში საქართველოს მთავრობის დელეგაციის ვიზიტს ეხმიანება და აცხადებს, რომ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილთან და საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანთან საკითხების მთელი სპექტრი განიხილეს.

„როგორც ყოველთვის, NATO მხარს უჭერს საქართველოს. რეგიონალური ვითარების, კოვიდის კრიზისის და რეფორმების გაგრძელების მკვეთრი აუცილებლობის გათვალისწინებით, საქართველოს არა აქვს ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისის დრო. რაც შეიძლება სწრაფად უნდა შემცირდეს პოლიტიკური პოლარიზაცია, ოპოზიციური პარტიები უნდა დაბრუნდნენ პარლამენტში, რათა მან ნორმალურად ფუნქციონირება შეძლოს და ყველა პარტიამ ერთად უნდა შეათანხმოს პოლიტიკური პროცესის წინ წაწევის გზა. ჩვენ მხარს ვუჭერთ ევროკავშირისა და აშშ-ის საშუამავლო ძალისხმევას, რომლებსაც ორი ბრწყინვალე დიპლომატი ხელმძღვანელობს“, — წერს აპატურაი სოციალურ ქსელში.

ირაკლი კობახიძე: ქუჩას კი არა ფანჩატურსაც ველარ ავსებენ!

— ეს ნახევრად ხუმრობით. რეალურად ასეთია მათი პოზიციები, საზოგადოება დაღალეს იმ რიტორიკითა და ქცევებით, რომლითაც ისინი გამოირჩევიან, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში.

— საზოგადოებამ დაინახა და ყველას შეფასებით არჩევნები იყო სამართლიანი, მაგრამ მაინც არიან გაჯიქებულები და არ შედიან პარლამენტში. საზოგადოება ამას ხომ ხედავს და აფასებს და ბუნებრივია, მათი პოზიციები საზოგადოებასთან მიმართებით კიდევ უფრო შერყეულია, ვიდრე ეს თუნდაც არჩევნების წინ იყო. აქედან გამომდინარე, თუ ასე გააგრძელებენ, კიდევ უფრო მძიმედ წავა მათი საქმე, — განაცხადა კობახიძემ.

ფულზე გაყიდული პარტიების ამოცანა ყოველთვის იყო რევოლუციური სცენარი!

ერთ-ერთმა მარგინალმა ნათელაშვილმა დატოვა მოლაპარაკებების მაგიდა და შემდეგ თქვა, რომ ბოლომდე არც იცის, რაზე იყო საუბარი. ასეთი ჯგუფების ინტერესის სფერო არასდროს ყოფილა მოლაპარაკებები. ფულზე გაყიდული პარტიებისა და ლიდერების ამოცანა ყოველთვის იყო რევოლუციური სცენარი, რომელსაც სააკაშვილი უკვეთავს, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი ზარქუამ განაცხადა.

დიალოგს არ აქვს ალტერნატივა. მოლაპარაკების პროცესს ესკალაცია არ სჭირდება. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ მაქსიმალურ დათმობაზე წავედით, ჩავატარეთ დიალოგის 4 რაუნდი, თუმცა ოპოზიცია, რომელიც მაშინაც იყო რადიკალური, ახლაც არის და ალბათ მომავალშიც ასეთი იქნება, მოლაპარაკებებს მაინც ტოვებს. გუშინ ერთ-ერთმა მარგინალმა ნათელაშვილმა დატოვა მოლაპარაკებების მაგიდა და შემდეგ თქვა, რომ ბოლომდე არც იცის, რაზე იყო საუბარი. ასეთი ჯგუფების ინტერესის სფერო არასდროს ყოფილა მოლაპარაკებები. ფულზე გაყიდული პარტიებისა და ლიდერების ამოცანა ყოველთვის იყო რევოლუციური სცენარი, რომელსაც სააკაშვილი უკვეთავს. დარწმუნებული ვარ, რომ მოლაპარაკებები შედეგიანი იქნება...

არ დაგვლუპო, გოგი წულაია, არ „დეიმშე“, ბიჭო!..

გოგი წულაიამ შიმშილობა დაიწყო. „პოლიტიკოსის“ მეგობრის, ლევან ჟღენტის თქმით, პროტესტის უკიდურეს ფორმას, წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფმა წულაიამ მისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად მიმართა.

პოლიტიკოსის განმარტებით, მას აღნიშნული ქალი მიუგზავნეს და პროვოკაციას წამოეგო.

„ბატონმა გოგიმ შიმშილობა დაიწყო, მას სურს მისი უდანაშაულობა დაამტკიცოს. ბოდიში მაგრამ ქუთაისიდან თბილისში სამი დღე რომ წაყვა, რა ეგონა, ჭადრაკის სათამაშოდ მიჰყავდა?!“, — განაცხადა წულაიას მეგობარმა ლევან ჟღენტმა. პოლიტიკოსი გოგი წულაია ორი დღის წინ დააკავეს, მას გამოძიება მეგობარ ქალზე ძალადობას ედავება და გუშინ ბრალი დაუმძიმდა.



სალომე ზურაბიშვილი: აუცილებელია, ეს საშუალება გამოვიყენოთ, რათა დავიცვათ საზოგადოება და გამოვიდეთ კრიზისიდან

საქართველოს პრეზიდენტი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით აიცრა. AstraZeneca-ს პრეპარატის პირველი დოზის მიღების შემდეგ, სალომე ზურაბიშვილმა კომენტარიც გააკეთა და აღნიშნა, რომ პანდემიით შექმნილი კრიზისიდან გამოსასვლელად საზოგადოებამ ვაქცინა უნდა გამოიყენოს.

„დღეს ურიგოდ ჩავიტარე აცრა, რამეთუ არც პრეზიდენტს ეკუთვნის და არც იმ ჯგუფში ვარ, რომელსაც ურიგოდ ეკუთვნის. ჯერ ექიმების, ექთნების და იმ მედპერსონალის რიგია, რომლებმაც ეს თვეები მძიმედ გაიარეს და ნამდვილად საჭიროა, რომ აიცრან, რომ დაცულები იყვნენ, რამეთუ მათზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული.

მაგრამ დადგება შემდეგი ჯგუფების რიგიც და თუ გვინდა, რომ იმ მძიმე ეკონომიკური შედეგებიდან გამოვიდეთ, რაც მთელ მსოფლიოში კოვიდ-პანდემიას მოჰყვა, აუცილებელია, ეს საშუალება გამოვიყენოთ, რათა დავიცვათ საზოგადოება, ქვეყანა. ყველას გისურვებთ ჯანმრთელობას და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამ გამოწვევასაც გადავლახავთ და სხვასაც“...

თენგიზ ცერცვაძე: დღეში 3 000 ადამიანი უნდა ავცრათ, რომ წლის ბოლომდე 60-65 პროცენტი ვაქცინირებული გვყავდეს

რამდენიმე დღეა, საქართველოში ვაქცინაცია მიმდინარეობს და უკვე აიცრა 3 000-ზე მეტი ადამიანი, თუმცა ეს ძალიან ცოტაა, 3 000 ადამიანი ჩვენ 1 დღეში უნდა ავცრათ, რომ წლის ბოლომდე 60-65% ვაქცინირებული გვყავდეს, — ამის შესახებ თბილისის ინფექციური საავადმყოფოს ხელმძღვანელმა თენგიზ ცერცვაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, ვაქცინა არის უსაფრთხო და ის ფაქტი, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ მისი გამოყენება დროებით შეაჩერა, არაფერს ნიშნავს, რადგან გაკეთდა სპეციალური დასკვნები გაეროს სპეციალური ექსპერტების კომისიის, ევროპის წამლის სააგენტოსა და ყველა ავტორიტეტული მარეგულირებლის მიერ, რომ ეს იყო ჭიქაში ატეხილი ქარიშხალი.

„დღეისთვის სულ დარეგისტრირებულია 5 000 ექიმი, რაც ძალიან ცოტაა, ამიტომ ჩვენ მივმართავთ, მე პირადად მივმართავ, რომ ვაქცინა არის უსაფრთხო. დღეს გაკეთდება ჯანმოს საბოლოო განცხადება, რომელსაც წყალი არ გაუვა“, — განაცხადა ცერცვაძემ.

საკოორდინაციო საბჭომ შეზღუდვები კიდევ უფრო შეამსუბუქა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართა. საბჭომ განიხილა ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, ასევე ვაქცინაციის პროცესის მიმდინარეობა და ვაქცინების დამატებითი დოზების შემოსვლასთან დაკავშირებული საკითხები.

ეპიდემიოლოგიური ვითარების ანალიზის საფუძველზე, საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დამატებით შეზღუდვების შემსუბუქებასთან დაკავშირებით:

პირველი აპრილიდან რეგულაციების დაცვით მუშაობის განახლების საშუალება მიეცემათ საბავშვო გასართობ ცენტრებსა და კინოთეატრებს.

უკვე ხვალიდან, 19 მარტიდან, დასაშვები იქნება ცოცხალი მუსიკა რესტორნებში.

ასევე, 28 მარტს დაგეგმილია საქართველო-ესპანეთის ნაკრების საფეხბურთო მატჩი. საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, დაუშვას მატჩზე მაყურებლის დასწრება დისტანციის და ყველა შესაბამისი ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების სტანდარტის დაცვით. სტადიონზე დაშვებული იქნება მაყურებელთა 30%.

ასევე, იმართება ძიუდოში გრანდსლემი, რომელზეც ასევე დაიშვება მაყურებელთა 30%.

ამ ეტაპზე კვლავ ძალაში რჩება ღამით გადაადგილების შეზღუდვა, რადგან ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ბერკეტი მობილობის შესამცირებლად. საბჭო აკვირდება ვითარებას და შემდგომ გადაწყვეტილებებს მიიღებს არსებული ეპიდემიოლოგიური სურათის ანალიზის საფუძველზე.



ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲒᲝᲜᲘᲐᲗ, „ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲔᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ?!

ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲛ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲩᲘᲮᲨᲘ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲜᲐ

...ᲗᲣᲙᲘ **მოვუყრით თავს ბრიუსელში გამოთქმულ მოსაზრებებს და ამ მიმართულებით ოპოზიციასთან მოლაპარაკებას, ვადამდელი არჩევნების თემას, რაც ოპოზიციას აღელვებს, ალბათ, არც ევროპა დაუჭერს მხარს. მკაფიოდ ითქვა, რომ პლურალიზმი პარლამენტს გარეთ, ანუ ბოიკოტირება, ევროპისთვის მიუღებელია. შესაბამისად, პარლამენტში შესვლა ევროპული სტანდარტია, რომელიც უნდა დაიცვას იმან, ვისაც ევროპულობა სურს, ამ შემთხვევაში, თუ ოპოზიციას ეს სურს, უნდა შევიდეს პარლამენტში,** — ამის შესახებ For.ge-სთან ინტერვიუში ანალიტიკოსი **რამაზ საძვარელიძე** აცხადებს.

— როგორ ფიქრობთ, მოხდება თუ არა მხარეთა შორის შეთანხმება და საბოლოოდ, ვიხილავთ თუ არა ოპოზიციას პარლამენტში?

— ოპოზიცია ამბობს, რომ არ შევალთ პარლამენტში, სანამ ხელისუფლება არ დააკმაყოფილებს ამა და ამ მოთხოვნებსო. თუ არ შეხვალ პარლამენტში, ე.ი. არ ხარ ევროპული სტანდარტების დამცველი. დანარჩენ საკითხებზე არც არის საუბარი.

ევროპა ითხოვს, რომ ოპოზიცია შევიდეს პარლამენტში, ხოლო ოპოზიცია თამაშობს არაევროპულ თამაშს. ევროპას არ აწყობს ოპოზიციის მიერ აღებული კურსი. შენ გაქვს ორიენტაცია იმაზე, რომ დააკმაყოფილო ევროპული სტანდარტი და შემდეგ არ შეგიტიონ ევროპიდან პლურალიზმი არ გაქვსო... ამ კითხვებს გაეცა პასუხი. როგორ გგონიათ, „ოცნება“ ოცნებობს, რომ მაინცდამაინც, ნაციონალები ჰყავდეს პარლამენტში? — ასე რომ, ოპოზიციამ საკუთარი თავი ჩიხში თავად შეიყვანა და წამგებიან პოზიციაში ჩააყენა. როდესაც წამგებიან პოზიციაშია მეორე ძალა, ამ შემთხვევაში „ოცნებამ“ თავისი გააკეთოს, გასაკვირია?

— ბოლო რამდენიმე დღეა, აქტიურად საუბრობენ გიორგი გახარიასა და „სტრატეგია აღმაშენებელის“ ლიდერის გიორგი ვაშაძის შესაძლო ალიანსზე. თქვენ რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ ეს და ამ შემთხვევაში რა პოლიტიკურ პერსპექტივაზე შეიძლება ვისაუბროთ?

— ვაშაძეს შეიძლება აწყობდეს გახარია, რადგან წასვლის შემდეგ გახარიამ ბევრი „ლაიქი“ მიიღო „ფეისბუქზე.“ ამან შექმნა შთაბეჭდილება, რომ მას მხარდამჭერების დიდი რიცხვი ჰყავს, მაგრამ თვითონ გახარიას არ უნდა აწყობდეს ვაშაძე. რაში სჭირდება ვაშაძე გახარიას?

— რატომ? როგორც ცალკე აღებულს, ვაშაძეს არა აქვს პოლიტიკური პერსპექტივა?

— მხოლოდ სამი პროცენტი. თუ გახარიას ექნება სამზე მეტი, მაშინ რაში უნდა აწყობდეს ვაშაძე? პოლიტიკა იმისდა მიხედვით დგება, ვინ რა სარგებელს პოულობს ურთიერთობაში. თუ ერთს აწყობს და მეორეს არა, ეს ურთიერთობა არ შედგება. შეიძლება ვაშაძეს აწყობდეს, მაგრამ გახარიას რაში უნდა აწყობდეს, გაუგებარია.

— ასევე მინდა შევეხო კულტურის სამინიტროს გამოყოფის საკითხს. რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო?

— ცოტა ხანში შეიძლება ისევ შეაერთონ. მთელი პრობლემა ისაა, რომ მცირე მთავრობის იდეა აქვთ, მაგრამ ამ იდეის განხორციელებას სამინისტროების მექანიკური შერწყმით ვერ მიაღწევ. როცა მოხდა სამინისტროების რიცხვის შემცირება, ეს მოხდა იმის ხარჯზე, რომ მიაწებეს ერთი სამინისტრო მეორეს და მიიღეს ნაკლები.

პრობლემა ისაა, რომ უნდა მოიძებნოს მექანიზმები, მაგალითად არასამთავრობოების, ფონდების მხრიდან, გარედან უნდა მოხერხდეს იმ პრობლემების გადაჭრა, რის წინაშეც დარგი დგას. მთელ მსოფლიოში კულტურის პრობლემებს წყვეტენ ბიზნესმენები, რადგან მათთვის შეღავათია დაწესებული, თუკი იგი ქველმოქმედებას კულტურის მიმართ გაიღებს.

კულტურასა და სპორტში ეს მექანიზმი საგადასახადო შეღავათებისა, იძლევა შედეგს. ამათმა არც შეღავათები გააკეთეს, არაფერი შეცვალეს, უბრალოდ, ერთი მართვის ქვეშ მოათავსეს რამდენიმე სტრუქტურა. რა თქმა უნდა, ვერ გაუძღვებოდა ასეთი ხუხულა მართვის საქმეს, პრობლემები გამწვავდა და მოუწიათ ისევ დაშლა. სანამ დაფიქრებულ გადაწყვეტილებას არ მიიღებენ იმისა, რომ არც საქმე გაფუჭდეს და სამინისტროებიც შემცირდეს, იქამდე ასეთი მექანიკური მანევრებით, მგონი, არაფერი გამოვა.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ
ᲜᲘᲙᲝ ᲩᲝᲮᲔᲚᲘ

ᲠᲐ ᲬᲔᲠᲘᲐ NATO-Ს ᲒᲔᲜᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ 2020 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ?

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲛᲐ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲛᲐ �გᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲘᲔᲜᲡ ᲡᲢᲝᲚᲢᲔᲜᲑᲔᲠ�გᲘᲡ 2020 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ �გᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲖᲔᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ.

კერძოდ, დოკუმენტში საუბარია NATO-ს ღია კარის პოლიტიკაზე და აღნიშნულია, რომ გასული წლის განმავლობაში ალიანსის წევრები აგრძელებდნენ საქართველოს NATO-ში გაწევრიანების მხარდაჭერას 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების შესაბამისად.

ისევე როგორც გენმდივნის სხვა განცხადებებში, ხსენებულ ანგარიშშიც აღნიშნულია, რომ **„NATO-ს კარი ღიაა ყველა ევროპული დემოკრატიისთვის, რომელიც იზიარებს ალიანსის ღირებულებებს, მზად არის და შეუძლია მიიღოს ალიანსის წევრობის პასუხისმგებლობა და ვალდებულებები“.**

გენერალური მდივნის ანგარიშში ცალკე ქვეთავი ეძღვნება საქართველოსთან თანამშრომლობის საკითხს, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია განახლებული „NATO-საქართველოს არსებითი პაკეტის“ მნიშვნელობაზე ქვეყნისა და ალიანსისთვის:

ეს პაკეტი მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას და ქვეყნის NATO-ში საბოლოო გაწევრიანებისთვის მომზადებას. იგი გასულ წელს განახლდა და უფრო თანმიმდევრული და მიზანმიმართული გახდა, რომელიც უკეთ ასახავს როგორც საქართველოს, ასევე ალიანსის პრიორიტეტებს. მთლიანობაში, განახლებული პაკეტი შეიცავს 16 ინიციატივას, მათგან სამი ახალია. ახალი ინიციატივები მოიცავს სამხედრო სამედიცინო შესაძლებლობების განვითარებას, ინგლისური ენის უნარის განვითარებას, სტანდარტიზაციას და კოდიფიკაციას. განახლებული პაკეტი ითვალისწინებს საქართველოს მიმართ დახმარების გაძლიერებას, მათ შორის კიბერ- ლაბორატორიის განვითარებას, NATO-სა და საქართველოს შორის უსაფრთხო კომუნიკაციის დამყარებას, სამხედრო ინჟინრების სწავლებასა და საზღვაო და საჰაერო სივრცესთან დაკავშირებული სიტუაციური ცოდნის ამაღლებას...

ამასთან, შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხი გამოკვეთილია ანგარიშის შეკავების, თავდაცვისა და დიალოგის პოლიტიკის თავში, სადაც ხაზგასმულია 2020 წელს შავ ზღვაზე ალიანსის გააქტიურების მნიშვნელობა და ამ კონტექსტში საქართველოსთან თანამშრომლობის პრიორიტეტულობა.

გარდა ამისა, დოკუმენტში საქართველოს მიერ NATO-ს მისიებისა და ოპერაციებში შეტანილ წვლილზეც არის საუბარი.

„ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲘ“ ᲡᲝᲡᲝᲘᲐ ᲕᲔᲚᲐᲠ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲡ „ᲛᲐᲚᲕᲐᲡ!..“



ᲡᲝᲡᲝ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲫᲔ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ **მყოფი, ძებნილი სოსო თოფურიძე საქართველოში ექსტრადიციას ელოდება,** — ამის შესახებ ინფორმაციას „რადიო თავისუფლების“ ბულგარული ბიურო ავრცელებს.

„ჩემთვის ყველაზე მიუღებელი ისაა, რომ იმ ინსტიტუციის შენობაში დამაკავეს, რომელსაც შველას ვთხოვდი. განა ბულგარეთი ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყანა არ არის? თავისუფალი ქვეყანა, რომელსაც ასე ვაფასებ?“, — განაცხადა სოსო თოფურიძემ.

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი 2012 წლიდან მიმალვაშია. მას ბრალი უფლებამოსილების გადამეტებაში ედება. თავდაპირველად სოსო თოფურიძე რამდენიმე წელი თურქეთს აფარებდა თავს, შემდეგ კი ბულგარეთში გადავიდა. 2019 წელს თხოვნით მიმართა ლტოლვილთა სახელმწიფო სააგენტოს, მისთვის ლტოლვილის სტატუსი მიენიჭებინათ, მაგრამ სააგენტოდან უარი მიიღო, მიზეზად დასახელდა ის, რომ არ არსებობდა რამე მტკიცებულება, რომ მას მართლაც სდევნიდნენ.

„თოფურიძემ სოფიის სასამართლოსაც მიმართა, რომელმაც იგივე დასკვნა გამოიტანა. სანამ საკითხი კიდევ ერთ ინსტანციაში განიხილებოდა, თოფურიძე საქართველოს მოთხოვნით დააკავეს. იგი გაათავისუფლეს სამი დღის შემდეგ 1000 ლევის (2026 ლარი) სანაცვლოდ. ამჯერად სოსო თოფურიძე ერთი მხრივ, ლტოლვილის სტატუსის მოლოდინშია, მეორე მხრივ კი იმის, რომ საქართველომის ექსტრადიციას მოითხოვს“, — იუწყება „რადიო თავისუფლების“ ბულგარული ბიურო.

საქართველოს პროკურატურაში აცხადებენ, რომ სოსო თოფურიძის ექსტრადირებისთვის ყველა საჭირო ღონისძიება მიმდინარეობს.

სოსო თოფურიძეს და კუდ-ის სხვა მაღალჩინოსნებს დათა ახალაიას, გერონტი ალანიას და ოლეგ მელნიკოვს სასამართლომ ბრალი 2012 წელს წაუყენა. მათ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთაში ადანაშაულებენ.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

„ᲔᲕᲠᲝᲞᲐ ᲐᲠᲐ... ᲢᲝᲠᲝᲚᲐ“...

ᲐᲘ ᲕᲘᲜ ᲐᲡᲣᲚᲓᲒᲛᲣᲚᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის ევროპული შუამავლობით ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გამართულ მოლაპარაკებებს ეხმიანება და აცხადებს, რომ „ევროპელებმა ამ ეტაპზე იქნებ, მაინც რამე გააკეთონ“.

„ევროპელებს წარმატებას ვუსურვებ, იქნებ რამე მაინც გააკეთონ ამ ეტაპზე მაინც, მას შემდეგ, რაც მრავალი წლის განმავლობაში საერთაშორისო თანამეგობრობამ საკმარისი რეაგირება არ მოახდინა ხელისუფლების უზურპაციაზე, სასამართლოების დაცინვაზე, პოლიტიკურ განაჩენებზე, ხალხის ქვეყნიდან მასობრივად გაყრაზე, პროვოკაციებზე, წამებაზე, მკვლელობებზე და მთლიანად ქართული დემოკრატიის განადგურებაზე, იმაზე რომ ქვეყანა ერთი ოლიგარქის ბოსტნად იქცა. რა ევროპაზე ვლაპარაკობთ? ერთი ოლიგარქის ბოსტანი ვართ, ევროპა არა... ტოროლა. ერთხელ და სამუდამოდ, საქართველო რომ გახდეს დემოკრატია, ესენი მშვიდობიანად უნდა ჩამოშორდნენ ხელისუფლებას“...

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲕᲘᲜᲠᲝᲔᲑᲔᲜ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ **მთავრობამ თანამდებობიდან გადააყენა „უკრაინის რკინიგზის“ ხელმძღვანელი მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მოადგილე ვლადიმირ ჟმაკი, რომლის გადაყენებასაც მანამდე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ მხარი ერთხმად დაუჭირა. უკრაინული მედიის ცნობით, კომპანიის ხელმძღვანელის მოვალეობებს დროებით ივან იურიკი შეასრულებს.**

ოდესის საოლქო ადმინისტრაციაში მიხეილ სააკაშვილის მუშაობის პერიოდში ვლადიმირ ჟმაკი მისი პირველი მოადგილე იყო. ვლადიმირ ჟმაკის განცხადებით, ის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა და ამ გადაწყვეტილების შესახებ მისთვის არავის უცნობებია. მანამდე მიხეილ სააკაშვილის კადრმა ირაკლი ეზუგბაიამ, რომელსაც კორუფციაში ადანაშაულებდნენ, „უკრაინის რკინიგზის“ კომერციული დირექტორის თანამდებობა დატოვა. უკრაინული მედია წერდა, რომ მიხეილ სააკაშვილის თანამოაზრეები, მათ შორის უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს დირექტორის მოადგილე გიზო უგლავა „უკრაინის რკინიგზის“ სატვირთო გადაზიდვებიდან მიღებულ შემოსავლებს იტაცებენ.

საქართველოში სტუმრობის დროს შეხვხვდით აზერბაიჯანის დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ფუად მურადოვს, რომელიც საქართველოს და ქართველი ხალხის დიდი მეგობარია. ქვემოთ ვაქვეყნებთ ბატონ ფუადის ნაუბარს ჩვენს კორესპონდენტთან.

აზერბაიჯანი და საქართველო ორი ერთმანეთის ერთგული ძმაა...

— ბატონო ფუად, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის მეგობრულ ურთიერთობებს ღრმა ისტორია აქვს. საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის ორი ქვეყნის ლიდერების ყურადღების ცენტრში გახლდათ. გთხოვთ, ამასთან დაკავშირებით გამოთქვათ თქვენი აზრი.

— ჩემი ინტერვიუ უნდა დავიწყო ბატონი პრეზიდენტ ილჰამ ალიევის მოსაზრებით, რომელიც ნათლად ასახავს ჩვენი ქვეყნების მდიდარ მემკვიდრეობას: **„აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველები და საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენი ურთიერთობების განვითარებაში. საქართველო და აზერბაიჯანი მრავალეროვნული, მრავალკონფესიური ქვეყნებია. ეს არის ჩვენი დიდი განძი. ჩვენს ქვეყნებში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენლები თავს ძალიან კომფორტულად გრძნობენ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი ჩვენი ქვეყნების დღევანდელი და სამომავლო განვითარებისათვის.“**

მართლაც, დღეს ისტორიული მეგობრობის საფუძველზე ჩამოყალიბებული აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთობები ახალ ეტაპზე კეთილმეზობლობის პირობებში დინამიკურად ვითარდება. ორ ქვეყანასა და ხალხებს შორის ურთიერთობები სამხრეთ კავკასიის მხარისთვის ბრწყინვალე მაგალითადაა გადაქცეული და განადიდებს მშვიდობას.

საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის ქვეყნის ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრშია და ამავე დროს იგი დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობების ღრმა ისტორიასთან ერთად, ურთიერთობების ისტორიაში ყოველწლიურად ახალ-ახალი გვერდები იწერება. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი ხალხებს კიდევ უფრო აახლოებს. მას საფუძველი ჩაეყარა ჰეიდარ ალიევის მხრიდან და ახლაც აღმავალ ხაზზე გრძელდება. ამჟამად ეს პოლიტიკა ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის მხრიდან წარმატებით გრძელდება.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ოფიციალური შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილთან აძლიერებს რწმენას ორ მეგობარ ქვეყანას შორის სტრატეგიული ურთიერთობების ამის შემდეგაც კიდევ უფრო განვითარების შესახებ.

— რას იტყოდით, აზერბაიჯანისა და სომხეთის ამასწინანდელ სამწუხარო ომის დროს თქვენი კომიტეტის საქმიანობაზე.

— 44-დღიანი სამხედრო ოპერაციების პერიოდში საზღვარგარეთ მყოფმა თანამემამულეებმა განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებისა, მოსაზრებისა, საცხოვრებელი ქვეყნისა, სამუშაო ადგილისა, გამოავლინეს ეროვნული ერთიანობა და თავიანთი სრული შესაძლებლობებით მხარში ამოუდგნენ ჩვენს სახელმწიფოს და არმიას. მათ არამარტო მატერიალური და ჰუმანიტარული დახმარება გაუგზავნეს არმიას, დაჭრილ ჯარისკაცებს, შეხიდების ოჯახებს, ფრონტის ხაზზე მცხოვრებ მშვიდობიან მოსახლეობას, არამედ აჩვენეს დიდი ორგანიზება და თავგანწირვა ჩვენი ჭეშმარიტი ხმის მსოფლიოსთვის მიწოდების საქმეში. ჩვენმა ეროვნულმა ერთობამ ბრძოლებში აზერბაიჯანს დიდი გამარჯვება მოუტანა და ამრიგად, აზერბაიჯანელ ხალხთან და სახელმწიფოსთან ერთად, ჩვენი დიასპორა ახალ ეტაპზე გადავიდა. საქართველოში მცხოვრები თანამემამულეების ჩათვლით საზღვარგარეთ მცხოვრები თემებისა და დიასპორული ორგანიზაციების მხრიდან მრავალი დახმარების აღმოჩენის, დიასპორის პოზიციიდან ჩვენი ეროვნული ერთიანობის უზრუნველყოფისა და მსოფლიო საზოგადოებისადმი სომხური თაღლითობებისა და აზერბაიჯანული რეალობების მიწოდების საქმეში აზერბაიჯანის დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის მნიშვნელოვანი როლი სადავო არაა.

— პანდემიის პერიოდში დიასპორის კომიტეტმა რა ურთიერთობა დაამყარა საზღვარგარეთ მცხოვრებ თქვენს თანამემამულეებთან და რა დახმარება გაუწია იმათ?

— ვიტყოდი, რომ პანდემიის დაწყების შემდეგ, დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტი აზერბაიჯანული სახლების, საკოორდინაციო საბჭოებისა და საზღვარგარეთ მცხოვრები დიასპორული ორგანიზაციების მეშვეობით ყველა შესაძლო საშუალების მობილიზებას ახორციელებდა და ყოველთვის ჩვენი თანამემამულეების გვერდით იდგა. კომიტეტი ასევე მონაწილეობდა ათასობით ჩვენი თანამემამულის სამშობლოში დაბრუნების საქმეში. ამავე დროს, კომიტეტი ყოველთვის აქცევს ყურადღებას ჩვენს სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ საზღვარგარეთ, განათლების სამინისტროსა და სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად, აწყობს შეხვედრებს მათთან და მუდმივად უჭერს მხარს მათ პრობლემების მოგვარებაში.

პანდემიის პირველივე დღიდან კომიტეტმა ინდივიდუალური მიდგომა გამოავლინა თითოეული ჩვენი თანამოქალაქის მიმართ, არა მხოლოდ 24-საათიანი „ცხელი ხაზით“, არამედ პერსონალის გაგზავნით პანდემიით დაზარალებულ ქვეყნებში. თანამოქალაქეთა სამშობლოში დაბრუნების პროცესში კომიტეტის ოფიციალურმა პირებმა ახლო მონაწილეობა მიიღეს, მატერიალური და მორალური დახმარება აღმოუჩინეს უცხოეთში მყოფ აზერბაიჯანულ ოჯახებს. თითოეულ შემოსულ მიმართვას დაწესებულება ყურადღებით მოეკიდა.

საზღვარგარეთ მცხოვრები აზერბაიჯანელებიც დიდი ენთუზიაზმით შეუერთდნენ პანდემიისგან დაცვისა და მისი შედეგების მინიმიზაციის პროცესს, პრეზიდენტის უშუალო კონტროლს ექვემდებარება. ამან კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ ილჰამ ალიევი არის არა მხოლოდ აზერბაიჯანში მცხოვრები მოქალაქეების, არამედ ყველა აზერბაიჯანელის პრეზიდენტი.

— დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციის მიღწევაა. კომიტეტის მიერ ამ მიმართულებით მხარდაჭერილი რომელი პროექტები განიხილება პრიორიტეტად?

— ახლახან კომიტეტის დელეგაცია ეწვია საქართველოს. იგი შეხვდა მხარის ადგილობრივ მოსახლეობას, სადაც აზერბაიჯანელები ცხოვრობენ, გაეცნო მათ პრობლემებსა და საზრუნავს, შეხვედრები გამართა აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებთან და რიგ ოფიციალურ ორგანოებთან. შევისწავლეთ ჩვენი თანამემამულეების განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური პრობლემები. ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არის საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ინტეგრაციის მიღწევა ადგილობრივ საზოგადოებაში, რომელსაც დიდ ყურადღებას ვაქცევთ. იმიტომ რომ მხოლოდ საზოგადოებასთან ინტეგრირებულ საზოგადოებას ძალუძს თავისი უფლებების დაცვა, ნორმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა.

რა თქმა უნდა, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების პრობლემები მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი, სსრკ-ის დაშლის შემდეგ შექმნილი ვითარების შედეგია და ჩვენს თანამემამულეებს პრობლემები აქვთ მიწის, განათლებისა და სხვა სფეროებში. ეს არ არის მოკლევადიან პერიოდში გადასაჭრელი საკითხები და გვწამს, რომ აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში ყველა პრობლემა თანდათანობით მოგვარდება, **თუნდაც დავითგარეჯას პრობლემა**.

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში მონაწილეობა მივიღე საქართველოს აზერბაიჯანელთა ინტეგრაციის ცენტრის გახსნაში, რომელიც შეიქმნა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განვითარება-განმტკიცების, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციაში დახმარების გაწევის, ამ პროცესებში საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფის და ჩვენი თანამოქალაქეების, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და მოზარდებისთვის მეცნიერებაში, განათლებაში, კულტურაში, სპორტში, სოციალურ და სხვა სფეროებში პროექტების განხორციელების მიზნით. ღონისძიების მონაწილეებს ჩვენ აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის სალამი გადავეცით და აღვნიშნეთ, რომ ორ ქვეყანას შორის მეგობრობა ურყევია და ეს ურთიერთობები კიდევ უფრო განმტკიცდება. განვაცხადე, რომ მარნეულში გახსნილი ინტეგრაციის ცენტრის შესახებ წინადადება ადგილობრივმა ახალგაზრდებმა წამოაყენეს. ცენტრის გახსნით, რაც ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, განათლების, სპორტის და ა.შ. სფეროებში მიღწეულია ახალ-ახალი მიღწევები.

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები სახელმწიფოს ერთგულები, მშრომელები და პატრიოტები არიან. მჯერა, რომ აზერბაიჯანი და საქართველო ერთობლივი ძალისხმევით დიდ შედეგებს მოიპოვებენ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ინტეგრაცის საკითხში.

— საქართველოში თქვენი სტუმრობის დროს გამართულ შეხვედრებთან დაკავშირებით რას იტყოდით.

— ჩამოთვლილების გარდა, დელეგაციასთან ერთად ვეწვიეთ დმანისს და ჩავატარეთ არაერთი საყურადღებო შეხვედრა. გავეცანით დმანისის სასწავლო ცენტრის საქმიანობას, რომელიც აშენებულია ჰეიდარ ალიევის ფონდის მხარდაჭერით.

აზერბაიჯანის დელეგაციის ვიზიტის დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ჰეიდარ ალიევის ფონდის მიერ შემოწირული 20 ინვალიდის ეტლის წარდგენა. ამავე დროს, უნდა აღვნიშნო, რომ ვიზიტის დროს ჰეიდარ ალიევის ფონდის სახელით ბოლნისისა და გარდაბნის რაიონებს საჩუქრად გადაეცათ ახალი თაობის სასწრაფო დახმარების ავტომანქანები.

აღვნიშნავ, რომ აზერბაიჯანის დელეგაცია ლაგოდეხის რაიონშიც იმყოფებოდა. საქართველოში ვიზიტის ფარგლებში. ჩვენ ასევე ფართოდ ვისაუბრეთ აზერბაიჯანის სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ პროექტებსა და ღონისძიებებზე საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ინტეგრირებისა და სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

რეგიონებში მიღწეულ წარმატებებთან ერთად, არსებობს საერთო პრობლემებიც. სინამდვილეში, მე ამას პრობლემას არ დავარქმევდი, ეს მხოლოდ სამუშაოა ჩასატარებელი. ანუ, ჩვენი ენის დაცვა და შენარჩუნება, ჩვენი თანამემამულეების ინტეგრირება და არა ასიმილაცია.

აზერბაიჯანული სკოლების რიცხვის საზღვარგარეთ გაზრდის, ჩვენი ენის, ისტორიის, კულტურისა და ზოგადად ჩვენი ქვეყნის შესახებ თანამემამულეებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ამჟამად კომიტეტი თანმიმდევრულ ნაბიჯებს დგამს. თუმცა შესრულებული სამუშაოები მხოლოდ სკოლებით არ შემოიფარგლება.

— თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტს რა წვლილი შეაქვს აზერბაიჯანული დიასპორის საქმიანობასა და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში?

— საზღვარგარეთ მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე დაარსდა დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტი. ამ წლების განმავლობაში აზერბაიჯანელების ორგანიზების მიმართულებით გარკვეული სამუშაოები ჩატარდა, დამყარდა კონტაქტები დიასპორის ორგანიზაციებთან და მიღებულიქნა ერთობლივი სამოქმედო გეგმა. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესები, ხალხებს შორის ჩქარი ინტეგრაციის ტენდენციების გაძლიერება დღეს დიასპორასთან მუშაობის სფეროში უფრო ეფექტურად მუშაობის აუცილებლობას მნიშვნელოვანს ხდის.

— ბოლო წლების განმავლობაში კომიტეტი უფრო მეტად რა მიმართულებას აქცევს ყურადღებას და თავის საქმიანობაში რა სიახლენი განახორციელა?

№ 57-58. ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ-ᲙᲕᲘᲠᲐ, 19-21 ᲛᲐᲠᲢᲘ, 2021 ᲬᲔᲚᲘ.

ᲩᲕᲔᲜ ᲣᲙᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲐ!

ᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲘᲗ ᲨᲐᲚᲘᲙᲝᲡ ᲡᲐᲤᲐᲜᲩᲐᲢᲣᲠᲔᲗᲨᲘ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲚᲗ!

„ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ, ამ თემაზე სიტყვაც არ დამიწერია, მაგრამ ვხედავ ახლა აუცილებელია მიზეზთა გამო და მეც ვწერ. ეგ არის ნამახვანჰესის თემა.

რატომ არ დავწერე? იმიტომ რომ, პოლიტიკოსი არ ვარ და არც ვაპირებ პოლიტიკოსობას. ბოლო 30 წელმა პოლიტიკაში საშინლად ეჭვიანი გამხადა. ამიტომაც გონივრული ეჭვი მაქვს ბევრ მოვლენაზე, რომელთა 99% ქვეყნის და ჩემთვის სავალალოდ გამართლებულა!

როდესაც ნამახვანის პროტესტი დაიწყო, რაიმე პოზიციების გამოხატვას მოცდა ვამჯობინე და დაკვირვება დავიწყე!

მოგეხსენებათ ქართული სიბრძნეა: „კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება“ და ველოდებოდი, მოვლენათა განვითარება თუ რა სახეს მიიღებდა. მე საძრახის ვერაფერს ვხედავდი და ვხედავ იმაში, მოქალაქეებმა ქვეყნის მომავლის გარშემო თავისი პოზიცია გამოხატონ თუნდაც მწვავე ფორმებით!

იმის შესახებ ვერ დავწერ, რაც არ ვიცი, ანუ პროექტის ტექნიკურ მხარეზე. ეს პროფესიონალების საქმეა. მაგრამ ის მაოცებს, აი იქაური მოსახლეობა მიწების გაყიდვით ფულს რომ იღებდა, სადაც ეს ჰესი უნდა აშენებულიყო, მაშინ სად იყვნენ ეს ნეტარხსენებული ლიდერები და თავად ის ადგილობრივები, რატომ ყიდდნენ, თუ ასეთი პატრიოტები იყვნენ?!(ხომ მაქვს მე, როგორც ერთ უბრალო მოქალაქეს ამ კითხვის დასმის უფლება?)

ამიტომაც, მე შევეცდები, გადმოგცეთ ჩემი შეხედულებები ამ საკითხის გარშემო:

1. ჩემდა სავალალოდ, საეჭვოდ დაემთხვა ეს პროტესტი საქართველოში ბოლო ხანს, განსაკუთრებით კი 2019 წლის 20 ივნისის შემდეგ განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს.

2. ეს პროექტი არსებობს 2008 წლიდან არა? ჰოდა, მაინცდამაინც ახლა, ამ მძიმე შემოტევების პროცესში, ვის და რატომ გაახსენდა მისი ეკოლოგია და ბევრი სხვა რამ?!

3. რატომ არ ატყდა ასეთი ამბები მაშინ, როდესაც ბატონმა მამუკა ხაზარაძემ ბორჯომი რუსებს მიჰყიდა? რატომ არავინ ყურიც კი არ შეიბერტყა, როდესაც ელექტროენერგია გადაეცა უცხოს? რატომ არ ატყდა ერთი ამბავი, როდესაც კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი უწოდეს?!უზარმაზარი არზის დაწერა შეიძლება ამგვარი უმსგავსოებების შესახებ. მაგრამ ირგვლივ იყო უღვთო დუმილი.

მოლოდინი იყო და აშკარად ჩანდა, რომ ორგანიზატორები და ლიდერები ადამიანების ეროვნულ გრძნობებსა და მათ სუფთა გულებზე დაიწყებდნენ მანიპულირებას. დიდი ხნის ლოდინი არ დაჭირვებია ამ ამბავს, მალე მოხდა და რაც მოსალოდნელი იყო, ლიდერებმა განაცხადეს: არავითარი პოლიტიკური მოთხოვნები და პოლიტპარტიები ჩვენთან ვერ და არ იქნებიანო!

ეს ამბავი დიდხანს არ გაგრძელებულა და მალევე გამოჩნდა „მამლის კუდი“ და ის ბევრმა იქ მყოფმა გულანთებულმა და მართლა სამშობლოს ბედზე მოფიქრალმა მამულიშვილმა დაინახა, როდესაც ერთ-ერთმა ახალგაზრდა ლიდერმა ჯერ მორიდებულად, მაგრამ მაინც განაცხადა, რომ ჩვენ ჩავალთ თბილისში... და იქ მოვითხოვთ მთავრობის გადადგომასო!

და ეს მაშინ, როდესაც მინისტრები წინა კვირაში ჩავიდნენ მოლაპარაკებაზე, როგორც ვიცი ფართო შესათანხმებელი წინადადებებით, მაგრამ ეს მოლაპარაკება ვერ შედგა და ისიც საკითხავია, რატომ ვერ შედგა?

ანუ აშკარად წამოტივტივდა ლიდერთა ნამდვილი ზრახვები და გაჩნდა უკვე ბევრი ლეგიტიმური კითხვა, რომელიც გაუჩნდა ჩემისთანა უბრალო მოქალაქეს; სად იყვნენ ეს ადამიანები ანალოგიური სიტუაციების დროს თუნდაც 2012 წლიდან, ვიდრე დღემდე? საიდან, რომელ წყაროდან ფინანსდებიან ეს სუბიექტები. როგორც იტყვიან არავის არ წამს იმის, რომ ეს აქციები უფინანსებოდ კეთდება? რატომ აძლევდნენ მიკროფონებს ე.წ. ნაცმოძრაობის და მისი სატელიტი პარტიის წარმომადგენლებს, მაშინ როდესაც მათივე სიტყვებით აქცია არაპოლიტიკური იყოო?

რაც მთავარია, მტერმა კარგად იცის, რომ ქართველ კაცს სოციალურ ნიადაგზე ქუჩაში ვერ გამოიყვან, აი ეროვნულზე კი სიცოცხლეს გასწირავს და ადვილია ამით მანიპულაცია. ეს თვალნათელია მთელი ამ „30 წლის მანძილზე და ამის მაგალითი იყო 20 ივნისი, რომელსაც რომ არა ხელისუფლებისა და პირადად შინაგან საქმეთა მინისტრის გონივრულობა და სიმტკიცე, „დიდებულად“ გამოიყენებდა ჩასაფრებული და სახელმწიფო გადატრიალების მოსურნე ოპოზიცია!

და აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო ხელისუფლების ძალიან მძიმე შეცდომები ამ მიმართულებით, კერძოდ — უაღრესად არასაკმარისი კომუნიკაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან; დაგვიანებული რეაგირება არსებულ პროცესებზე; მოსალოდნელი რეალობის არასაკმარისი გათვლა(ყოველ შემთხვევაში გარედან ასე ჩანს).

ვფიქრობ, იკვეთება, რომ არსებული სინამდვილით, ხელისუფლების შეცდომებით და ხალხის წრფელი გულით სურს, ისარგებლოს საშინელმა დესტრუქციულმა ძალამ, რომელიც დიდი გონივრული ეჭვია (და ამის დამტკიცება შეიძლება ფაქტებით, რაც არაერთხელ დამიწერია) იმართება საფანჩატურეთში მოკალათებული ოპოზიციით, რომელიც ყოველ წამს ცდილობს, როგორ არიოს სიტუაცია საქართველოში. ამდენ არეულობას ეს ქვეყანა (უკვე მერამდენეს) ვერ გადაიტანს! ამის კონტურები უკვე შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს და რომლის შესახებაც უკვე ხმამაღლა გვაფრთხილებენ ჩვენი ევროპელი მეგობრები!

ᲒᲐᲘᲮᲡᲔᲜᲔᲗ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ, ᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲫᲛᲣᲚᲘ ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡ 21 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ!

ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲗ, ᲒᲘᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲗ — ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ!

აქ ისაა მთავარი, რომ ჩვენს უკან საქართველოა“!

ᲔᲓᲘᲨᲔᲠ ᲒᲕᲔᲜᲔᲢᲐᲫᲔ

— საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით დამყარდა პირდაპირი თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა ქვეყნის მიგრაციის და უშუალო დიასპორაზე პასუხისმგებელ სამთავრობო უწყებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აზერბაიჯანში ფუნქციონირებად საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საელჩოებთან. თითოეულ ქვეყანაში, სადაც ვესტუმრებით, ჩვენ ასევე ვატარებთ შეხვედრებს შესაბამის უწყებებთან, განვიხილავთ არსებულ პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს და ვცდილობთ, მხარი დავუჭიროთ მათ.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ბოლო პერიოდში სხვა ერების დიასპორებთან ურთიერთობები დამყარდა და მჭიდრო თანამშრომლობის მიმართულებით პრაქტიკული სამუშაოები მიმდინარეობს.

დაარსდა კომიტეტის ინტერნეტ-ტელევიზია Diaspor TV, რომლის აქტიური მუშაობაც უზრუნველყოფილია. ამის პარალელურად, საზოგადოებრივ ტელევიზიასთან კომიტეტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, თვეში ერთხელ გადის გადაცემა სახელწოდებით „სამშობლო შორს არაა“. გადაცემა მოიცავს საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან ინტერვიუებს, მიმდინარე პროექტების შესახებ ვიდეორეპორტაჟებს და ა.შ.

თანამედროვე დროის მოთხოვნების შესაბამისად, მეტი ყურადღებაა დათმობილი სოციალურ ქსელებს — ძირითადად facebook.com, twitter.com, telegram.org და youtube-ს. ელექტრონულ და სოციალურ მედიაში მათი მუშაობის უფრო გაძლიერების მიზნით ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში დიასპორულ ორგანიზაციებს ვთავაზობთ სრულიად უფასო ტექნიკურ დახმარებას.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის რადიომ Diaspor.FM დაიწყო სატესტო მაუწყებლობა. იგი გადაიცემა როგორც ინტერნეტში, ასევე მობილური აპლიკაციის საშუალებით.

ამგვარი პროექტების განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის ინტერნეტ-სივრცეში აზერბაიჯანული რეალობის შესახებ ინფორმაციების — კონტენტინური უპირატესობის მიღწევა.

— დაბოლოს, რის თქმას ისურვებდით?

— უნდა ვისარგებლო შემთხვევით და სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს, აზერბაიჯანული დიასპორის წარმომადგენლებს, საქართველოში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს ნოვრუზის დღესასწაულის მობრძანებას გულწრფელად ვულოცავ, თითოეულ თქვენგანს ამ ძვირფას დღესასწაულებში ვუსურვებ საგაზაფხულო განწყობას, ჯანმრთელობას და ულევ ბედნიერებას.

ნოვრუზი მრავალი საუკუნის მანძილზე აღინიშნება როგორც ეროვნული დღესასწაული ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, მსოფლიოში ყველგან, სადაც აზერბაიჯანელები ცხოვრობენ.

მიმდინარე წლის გაზაფხულის დადგომა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ოცდამეათე წლისთავს ემთხვევა. საუკუნეების მანძილზე ძნელბედობის გამოცდებიდან გამოსული ნოვრუზის დღესასწაულის აზერბაიჯანში სახელმწიფო და უმაღლეს დონეზე ჩატარება დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე ჩვენი ერთ-ერთი მიღწევაა.

ყველა აზერბაიჯანელს, ასევე ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც ისტორიულად მშვიდობიან პირობებში ცხოვრობდნენ საქართველოში, ასევე ჩვენს ქართველ ძმებს ვულოცავ უძველესი ტრადიციების განმსახიერებელ ნოვრუზის დღესასწაულს.

ჩვენი მკითხველების სახელით ჩვენც გილოცავთ, ბატონო ფუად, ნოვრუზის დღესასწაულს. ინტერვიუსთვის მადლობას მოგახსენებთ. წარმატებებს გისურვებთ თქვენს მოღვაწეობაში.

საუბარი ჩაიწერა
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ᲕᲐᲨᲚᲘᲯᲕᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲔᲚ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲛᲔᲬᲧᲔᲠᲘ ᲓᲐᲘᲫᲠᲐ...

ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ კი, თბილისის მერიამ, 16 მარტს განცხადება გავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით, ამ ტერიტორიაზე საავტომობილო მოძრაობა ორმხრივად შეიზღუდა.

„მუხრან მაჭავარიანის ქუჩასა და მიმდებარე ფერდებზე განხორციელებული გარკვეული მოქმედებების გამო, მეწყრული პროცესები გააქტიურდა“, — ნათქვამია მერიის განცხადებაში.

* * *

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ტერიტორიაზე დამეწყრილი უბნის შესწავლაში გერმანელი სპეციალისტები ჩაერთვებიან.

„ფაქტის დადგომასთან ერთად ოპერატიულ რეჟიმში მერიის შესაბამისი სამსახურები შესაბამის დარგის სპეციალისტებთან ერთად ჩაერთვნენ ამ პრობლემის მოგვარებაში. 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს ამ პრობლემის მოგვარებაზე ღონისძიებები. არის რამდენიმე სახის რეკომენდაცია ექსპერტების მხრიდან, რომ პირველ რიგში მომხდარიყო მაჭავარიანის ქუჩის ჩაკეტვა, რაც რამდენიმე დღის წინ მერიამ მოსახლეობას შეატყობინა და მოხდა ამ ქუჩის გადაკეტვა. ასევე მათი რეკომენდაცია არის, რომ მოხდეს ამ მეწყრული პროცესების მონიტორინგი. რაც უკვე მიმდინარეობს პირველივე წუთიდან. ასევე მათი რეკომენდაციაა, რომ მოხდეს დეტალური კვლევა-პროექტირება და სწორედ ამის შემდგომ მოხდეს შესაბამისი სამუშაოების განხორციელება“.

ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ ᲮᲐᲜ ᲘᲛᲐᲡ ᲒᲕᲘᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲐᲠ ᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲡ...

ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲭᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲓᲦᲔᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲣᲬᲘᲒᲜᲣᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ „ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲐᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ-ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ“ (ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ) ᲛᲔᲢᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ, ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ — �თᲣᲠᲥᲔᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲐᲝ. ᲐᲠᲐᲓᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲬᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ I, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲛᲐ ᲨᲗᲐᲛᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲛ „ᲓᲘᲓᲘ“ ᲣᲬᲝᲓᲐ, ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲠᲝᲓᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ: „ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲦᲐᲛᲔ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔᲓ ᲕᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲓᲘ ᲦᲝᲜᲘᲗᲐ ᲠᲐᲗᲐᲛᲔ ᲐᲦᲤᲮᲕᲠᲐᲡᲐ ᲑᲘᲚᲬᲗᲐ ᲝᲡᲛᲐᲜᲗᲐᲡᲐ... ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲫᲐᲚᲘᲗᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲗᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲨᲔᲬᲔᲕᲜᲘᲗᲐ ᲨᲔᲜᲘᲗᲐ, ᲓᲔᲓᲐᲝ ᲦᲛᲠᲗᲘᲡᲐ, ᲛᲧᲘᲡ ᲨᲔᲕᲛᲣᲡᲠᲔᲜᲘᲗ ᲥᲐᲚᲐᲥ-ᲪᲘᲮᲔ ᲡᲘᲛᲐᲒᲠᲔᲜᲘ ᲛᲐᲗᲜᲘ, ᲓᲐᲕᲐᲗᲠᲔᲗ ᲮᲠᲛᲐᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲗᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲗᲐᲗᲐᲠᲗᲐᲡᲐ“.

ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲗᲣᲠᲥᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲐᲧᲐᲚᲑᲝᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲣᲠᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲩᲘᲜᲝᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲢᲝᲛᲗᲐ ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔ-20 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲗᲣᲠᲥᲣᲚ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲣᲠᲣᲨᲐᲫᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ: „ᲫᲐᲚᲖᲔ ᲮᲨᲘᲠᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ (ᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ ᲠᲝᲓᲘᲐ) ᲗᲣᲠᲥ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ �პᲐᲜᲗᲣᲠᲥᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲠᲐᲪ ᲐᲠᲪᲗᲣ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲖᲜᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲓᲐ. ᲗᲣᲠᲥᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲖᲔᲛᲝ ᲥᲐᲠᲗᲚᲘ, ᲐᲭᲐᲠᲐ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ, ᲘᲝᲠ-ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ᲐᲣᲖᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲓᲠᲝᲘᲓᲐᲜ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲛᲝᲓᲒᲛᲘᲡ ᲢᲝᲛᲔᲑᲘᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲐᲛ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲐᲚᲖᲔ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔ ᲢᲝᲛᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲞᲠᲝ-ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲛᲐᲗᲘᲕᲔ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲗ, ᲘᲜᲒᲘᲚᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ�პᲠᲔᲑᲘ ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲓᲒᲛᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲗ. ᲗᲣᲠᲥᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲗᲣᲠᲥᲔᲑᲡ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲞᲧᲠᲘᲐᲗ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲐᲚᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲓᲠᲝᲘᲓᲐᲜ ᲐᲥ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲢᲙᲘᲪᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲐᲜᲣ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲐ. ᲐᲛ ᲐᲡᲞᲔᲥᲢᲨᲘ ᲘᲡᲘᲪ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ 1995 ᲬᲔᲚᲡ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲡᲐᲛᲡᲣᲜᲨᲘ ᲗᲣᲠᲥᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲜᲘᲗ ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲢᲝᲛᲘᲡᲐᲐ (ᲒᲐᲖ. „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“, 28-29 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1997).

ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲭᲐᲠᲚᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲐᲛ ᲝᲪᲘ �წᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲘᲖᲜᲘᲥᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐ „ᲐᲭᲐᲠᲐ“ (ᲗᲣᲠᲥᲣᲚ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ), ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲠ�გᲛᲐᲜᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲐ. ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ: **„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲨᲚᲘᲗ, ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲭᲐᲠᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲘᲮᲡᲜᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲤᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲤᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲮᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲐᲭᲐᲠᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲘᲒᲔᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲡᲘᲧᲐᲚᲑᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲓᲐ“.**

ᲓᲦᲔᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ, ᲗᲣᲠᲥᲘ ᲮᲛᲚᲘᲗ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲝᲓᲘᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲡᲐᲨᲘᲨᲘᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲞᲐᲜᲡᲘᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ, ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲗᲐᲜᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ, ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ, ᲐᲭᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ ᲬᲐᲧᲕᲐᲜᲐ ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲫᲔᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲨᲘᲨᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲣᲐᲠᲔᲡᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ. ᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲖᲔᲬᲝᲚᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲖᲔ.

ᲓᲐᲛᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, 10 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ — 2000-2009 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ 8 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ 835 ᲐᲗᲐᲡ ᲙᲐᲪᲡ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲨᲘ — 830 ᲐᲗᲐᲡ ᲙᲐᲪᲡ ᲣᲫᲠᲘᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ — 53 ᲐᲗᲐᲡ ᲙᲐᲪᲡ, ᲘᲡᲘᲪ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲐᲠᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲖᲔ. ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲔᲜ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲓᲔᲛᲝ�გᲠᲐᲤᲘᲪᲘᲗ: **„ᲓᲔᲛᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲥᲠᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲣᲙᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲘᲔᲠᲗᲔᲑᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ“.**

ᲓᲔᲞᲝᲞᲣᲚᲐᲪᲘᲐ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲗᲥᲛᲐ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ. ᲥᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲔᲠᲘ ᲕᲔᲠ ᲐᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲐ. 1801 ᲬᲔᲚᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ 675 ᲐᲗᲐᲡ ᲙᲐᲪᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ. 1814 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ 400 ᲐᲗᲐᲡ ᲙᲐᲪᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ. ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ, 1811 ᲬᲔᲚᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ �გᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ ᲨᲐᲕᲘ ᲭᲘᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲛᲘ �წᲔᲚᲘ ᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲓᲐ. ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲐᲛ ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲓᲐ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ — ᲨᲐᲕᲛᲐ ᲭᲘᲠᲛᲐ ᲛᲣᲡᲠᲘ �გᲐᲐᲕᲚᲝ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲑᲐ�გᲠᲐᲢ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲨᲐᲕᲛᲐ ᲭᲘᲠᲛᲐ **„ᲛᲝᲡᲠᲜᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲜᲘ ᲡᲣᲚᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲡ, ᲙᲐᲮᲔᲗᲡ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲡ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲮᲐᲚᲮᲐᲛᲓᲔ“**. ᲐᲛᲠᲘ�გᲐᲓ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ 400 ᲐᲗᲐᲡ ᲙᲐᲪᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ. ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ 400 ᲐᲗᲐᲡ ᲙᲐᲪᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ 250 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ. ᲔᲡᲔ ᲘᲒᲘ, ᲛᲗᲔᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ ᲘᲛᲓᲔᲜᲘᲜᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲙᲐᲪᲘᲪ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ 1990 ᲬᲔᲚᲡ.

1897 ᲬᲚᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ 2109 ᲐᲗᲐᲡ ᲙᲐᲪᲡ ᲣᲫᲠᲘᲓᲐ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲑᲔᲬᲕᲖᲔ �გᲐᲓᲐᲕᲠᲩᲘᲗ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲬᲧᲕᲔᲢᲐᲡ.

ᲐᲮᲚᲐᲪ ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲓᲠᲝ �გᲕᲘᲓᲒᲐᲡ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲔᲑᲠᲫᲕᲘᲗ ᲜᲔᲑᲡᲘᲗ ᲗᲣ ᲣᲜᲔᲑᲚᲘᲔᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ. ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲐᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲜᲘᲐ ᲐᲒᲔᲠ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲓᲐᲛᲣᲜᲯᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲔᲜ ᲓᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲦᲐᲛᲔᲛᲓᲔ ᲗᲣᲠᲥᲣᲚ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠ ᲞᲠᲝᲗᲔᲡᲢᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲕᲔᲜ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲠᲪᲔᲠᲗ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲛ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐᲪ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ. ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ ᲐᲠᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐ. ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲝᲑᲐ, ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲔᲓᲘᲝᲗ. ᲐᲥ ᲘᲩᲔᲜᲡ ᲘᲒᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲗᲐᲕᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲗ, ᲓᲐ ᲗᲣ ᲒᲜᲔᲑᲐᲕᲗ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ. ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲣᲛᲔᲝᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲒᲐᲜᲡᲮᲔᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲔᲠᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲓᲘᲐᲓᲝᲗ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲗᲝᲜ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲣᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲜᲝᲑᲐ. ᲛᲔᲤᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲨᲘ 15 ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ �წᲚᲘᲪ ᲙᲘ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲑᲔᲒᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲮᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲗ, ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲡ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲘᲥ ᲓᲐᲠᲩᲔ

ქალები, რომლებმაც სხვა ადამიანებისთვის თავი გაწირეს

მათ უარი თქვეს ოჯახზე და პირად ბედნიერებაზე. ჯანმრთელობა და სიცოცხლეც კი შესწირეს ადამიანების გადარჩენას და სანაცვლოდ არაფერი უთხოვიათ.

1. დედა ტერეზა

„კეთილი სიტყვები სწრაფად და მარტივად წარმოითქმის, მაგრამ მათი ექო მარადიულია“.

დედა ტერეზაზე ცრემლების გარეშე საუბარი შეუძლებელია. მან საკუთარი თავი სხვა ადამიანებს მიუძღვნა, თავად კი მთელი ცხოვრება სიღარიბეში გაატარა.

ის მაკედონიაში დაიბადა და აგნესა დაარქვეს. გოგონას ბავშვობიდან მისიონერობა აინტერესებდა. 18 წლის ასაკში ის სამუდამოდ დაემშვიდობა ოჯახს და ღმერთისა და ხალხის მსახურებისთვის შორეულ ინდოეთში გაემგზავრა.

XX საუკუნის დასაწყისში ინდოეთი კონტრასტების ქვეყანა იყო – მდიდრული სასახლე-



ების გვერდით ღარიბული ქოხები და ქუჩაში ნაგვის მთები იდგა... ღარიბი ადამიანები მცხუნვარე მზის ქვეშ, ჭუჭყსა და ნაგავში იბადებოდნენ და კვდებოდნენ. დედა ტერეზა წლების განმავლობაში ღარიბების შვილებს ასწავლიდა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ მისი მომავალი ბედი განსაზღვრა.

„ყველაზე მნიშვნელოვანი ნამალი სიყვარული და ზრუნვაა“

ერთხელ დედა ტერეზამ დაინახა, თუ როგორ დააგდო შვილმა კეთრით დაავადებული დედა ქალაქის მოედანზე, რადგან საავადმყოფოებმა მის მიღებაზე უარი თქვეს. ქალის სხეული წყლულებით, ვირთხებისა და ჭიანჭველების ნაკბენებით იყო დაფარული და საშინელი სუნი ასდიოდა. დედა ტერეზა ქალს მიუახლოვდა და – გაიქცა. ქალმა ვერ შეძლო ასეთი სანახაობის გაძლება. ქალი ტიროდა, ლოცულობდა და უფალს ძალას სთხოვდა უბედური ქალის დასახმარებლად. შემდეგ დაბრუნდა, მომაკვდავი ქალი დაბანა, ანუგეშა და ავადმყოფი სახეზე მშვიდი ღიმილით გარდაიცვალა.

ამის შემდეგ მონაზონმა იცოდა, რა უნდა ეკეთებინა. მან მონასტერი დატოვა და ცხოვრება კალკუტის ჯურღმულებში დაიწყო, რომ ღარიბებს, როგორც შეძლებდა, დახმარებოდა. დროთა განმავლობაში, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქალის შესახებ შეიტყო და მას შენობა გამოუყვეს მოსახლეობის დასახმარებლად.

დედა ტერეზამ განწირული ადამიანებისთვის მთელი დასახლება გააშენა, სადაც ყველა ადამიანს, განურჩევლად რელიგიური მრწამსის, სქესისა და დაავადებისა, პატივისცემით ეპყრობოდნენ. მან კალკუტის ღარიბთა, დავრდომილთა და ობოლთა მოვლას 40 წელი მიუძღვნა.

1979 წელს დედა ტერეზას ჰუმანიტარული საქმიანობისთვის ნობელის პრემია მიენიჭა. პრემიის მისაღებად ქალი იმავე თეთრი სარით მივიდა, რაც ყოველდღიურად ეცვა და ბანკეტზე დასწრებაზე უარი განაცხადა.

„არა აქვს მნიშვნელობა, ვინ და რას ამბობს შენზე, ყველაფერი ღიმილით მიიღე და შენი საქმე გააგრძელე“

თავისი მოღვაწეობის მანძილზე დედა ტერეზა მწვავე კრიტიკისა და თავდასხმების მსხვერპლი არაერთხელ გახდა – რატომ უნდა ვებრძოლოთ სიღარიბის შედეგებს და არა მიზეზს? რატომ უნდა აიკრძალოს აბორტი, როდესაც ახალშობილებს ნაგავში ყრიან? რა ოდენობის თანხას განკარგავს დედა ტერეზას საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქველმოქმედების მისიონერები“ და სად არის ანგარიშები მისი ფინანსური საქმიანობის შესახებ?

ადვილია დივანზე წოლისა და სენდვიჩის ჭამის დროს სხვების მიღწევებზე საუბარი, მაგრამ ის, ვისაც კეთროვანი არასოდეს დაუბანია, ნაგავში გადაგდებული ჩვილი არ გადაურჩენია და ცივ მიწაზე არ სძინებია, მისი მსხვერპლის ძალას ვერასოდეს გაიგებს. დედა ტერეზას ესმოდა მისი მისამართით გაჟღერებული ბრალდებები, იღიმებოდა და მუშაობას აგრძელებდა.

დედა ტერეზა 1997 წელს, 87 წლის ასაკში გარდაიცვალა, ხოლო 2003 წლის ოქტომბერში კათოლიკურმა ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა. არც ერთი ცნობა არ არსებობს, რომ დედა ტერეზას ცხოვრებაში რაიმე ქონება გააჩნდა.

„ჩვენ არ შეგვიძლია დავინახოთ ქრისტე, ამიტომ არ შეგვიძლია მას ჩვენი სიყვარული ვაჩვენოთ, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანები და მათთან ურთიერთობაში გამოვავლინოთ ის სიყვარული, რასაც გამოვავლენდით ქრისტესთან თუ მის დანახვას შევძლებდით“. დედა ტერეზა.

2. ფლორენცია ნაიტინგეილი

ფლორენცია ნაიტინგეილი – ინგლისელი სოციალური რეფორმატორი და სტატისტიკოსი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ექთნის პროფესიას. ფლორენცია მე -19 საუკუნეში, მდიდარ არისტოკრატულ ოჯახში დაიბადა და შესანიშნავი განათლება მიიღო. კეთილშობილი არისტოკრატები ცოლობას სთხოვდნენ, მაგრამ მან ყველას უარი უთხრა.

ერთხელ ქალმა ღარიბთა საავადმყოფო მოინახულა და ნანახმა სულით ხორცამდე შეძრა – ბინძური თეთრეულის მთები, საშინელი ანტისანიტარია, მთვრალი მომვლელები, საშინელი სუნი – იმ წლების საავადმყოფო იყო ადგილი, სადაც ხალხი კი არ მკურნალობდა, არამედ საშინელ ტანჯვაში კვდებოდა.

ფლორენციამ გადაწყვიტა მოწყალების და გამხდარიყო და ადამიანებს დახმარებოდა. ამ დღის შემდეგ არისტოკრატიულმა სამყარომ ზურგი აქცია, მაგრამ ქალს ეს არ ადარდებდა..

ანგელოზი სანთლით ხელში

ყირიმის ომის დროს ფლორენცია 38 ექთანთან ერთად ფრონტზე გაემგზავრა, თუმცა სამედიცინო ინდუსტრიაში ქალებს სერიოზულად არავინ აღიქვამდა. დაჭრილი ჯარისკაცები საკუთარ ექსკრემენტებში იხრჩობოდნენ, ტანზე ვირთხები და ტილები ესეოდათ და ქალს სუნისგან თავბრუ ეხვეოდა. ფლორენციას ყველაზე უიმედო პაციენტები გადასცეს.

მოკლე პერიოდში მან პალატების რაოდენობის გაზრდას მიაღწია, სამზარეულო და სამრეცხაოები მოაწყო, ჰიგიენის პრინციპები დანერგა. ქალი მთელი ღამე სანთლით დადიოდა და პაციენტების მდგომარეობას აკვირდებოდა, რის გამოც „ანგელოზი სანთლით ხელში“ შეარქვეს. ფლორენცია ნაიტინგეილის წყალობით, სიკვდილიანობის მაჩვენებელი 49% -დან 2% -მდე შემცირდა.

ქალი ომიდან ეროვნული გმირის სტატუსით დაბრუნდა. სიცოცხლის ბოლომდე ის დაკავებული იყო სამედიცინო სისტემის რეორგანიზაციით და ექთნების სკოლების გახსნით. ავადმყოფებზე ზრუნვაში ცხოვრება ისე გაილია, რომ ქალმა პირადი ცხოვრების მოწყობა ვერ მოასწრო. სიკვდილის წინ მან ყველა დღიური და ჩანაწერი დაწვა, რომ მისი ფიქრების შესახებ ვერავის გაეგო.

ფლორენცია ნაიტინგეილის მედალი მოწყალების დებისათვის უმაღლესი ჯილდოა.

3. ირენ სენდლერი

პატარა ქალი ლომის გულით

როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, პოლონელი ირენ სენდლერი 30 წლის იყო. 1939 წელს, როდესაც ფაშისტები პოლონეთს თავს დაესხნენ, ქალი ებრაელებისთვის მფარველ ანგელოზად იქცა. მან 3000-მდე ყალბი დოკუმენტი შექმნა, რომ ებრაელთა ოჯახები ამოწყვეტისგან ეხსნა. როდესაც იმ საშინელებების შესახებ შეიტყო, რაც გეტოში ხდებოდა, ირენმა მოქმედება გადაწყვიტა.

გერმანელებს საშინლად ეშინოდათ ტიფის, რომელიც ბანაკში ვრცელდებოდა, ამიტომ მედიკოსებს დაუბრკოლებლად უშვებდნენ. ყალბი დოკუმენტების საშუალებით ირენი ბანაკში ყოველდღე შედიოდა. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ პატარა, სუსტმა ქალმა 2500 ბავშვის გადარჩენა შეძლო. მას ბანაკის ტერიტორიიდან ბავშვები კანალიზაციის მილებითა და გვირაბების გავლით გაჰყავდა, ყველაზე პატარებს კი ჩანთაში სვამდა. 1943 წელს გესტაპომ ირენი ვიღაცის დასმენით დააკავა. გერმანელებმა ის დიდხანს აწამეს, ხელები და ფეხები დაატეხეს, მაგრამ თანამოაზრეები არ გასცა. ქალი სიკვდილამდე ხელჯოხით დადიოდა.

მამაცმა ქალმა დარჩენილი სიცოცხლე მოკრძალებულად გაატარა. ის თავს გმირად არ თვლიდა და ნანობდა, რომ მეტი ბავშვის გადარჩენა ვერ შეძლო.

2007 წლამდე ამ ქალის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. სწორედ ამ წელს წარადგინეს ის ნობელის პრემიაზე, მაგრამ რატომღაც კომისიამ გადაწყვიტა, რომ 2500 ბავშვის გადარჩენილ სიცოცხლეზე მნიშვნელოვანი გლობალური დათბობის შესახებ მოხსენებაა და ჯილდო ალ გორს მიანიჭა.

98 წლის ირენ სენდლერი 2008 წლის 12 მაისს, ქალაქ ვარშავაში გარდაიცვალა.

4. ვიქტორია სოტო

იგი მხოლოდ ოცდაშვიდი წლის იყო და სიცოცხლე ბავშვების გადასარჩენად გაწირა..

იმ დღეს ამერიკელი პედაგოგი ვიქტორია სოტო საყვარელ მოსწავლეებთან სამუშაოდ მივიდა. 2012 წლის 14 დეკემ-

ბერი, კონექტიკუტის შტატის ქალაქ ნიუთაუნში, სენდი ჰუკის დაწყებით სკოლაში ჩვეულებრივი დღე იყო, მაგრამ ერთ წუთში სამყარო ჯოჯოხეთად იქცა. სკოლაში ფსიქიკური პრობლემების მქონე ყოფილი მოსწავლე იარაღით შეიჭრა და ცეცხლი გახსნა..

გადარჩენილი ბავშვების თქმით, სროლის დროს მასწავლებელმა ისინი კარადებში დამალა. როდესაც ადამ ლენზა ვიქტორიას კლასში შეიჭრა, მასწავლებელმა უთხრა, რომ ბავშვები სავარჯიშო დარბაზში იყვნენ. რამდენიმე ბავშვმა დაძაბულობას ვერ გაუძლო, კარადის კარი გააღო და გაიქცა. მამაცი მასწავლებელი მკვლელს გზაზე გადაუდგა და ცდილობდა მისი ყურადღება სხვა მიმართულებით გადაეტანა. ადამ ლენზამ მასწავლებელი სახეში სამი გასროლით მოკლა და წავიდა. იმ დღეს სკოლაში ექვსი მასწავლებელი და ოცი ბავშვი გარდაიცვალა. ვიქტორია სოტოს წყალობით სიკვდილს ექვსი ბავშვი გადაურჩა.

ბრიტანეთის სამეფოს სკანდალური წყვილის მორიგი მილიონები

პრინცი ჰარი და მისი მეუღლე მეგან მარკლი რომ ბრიტანეთის სამეფოში ვერ დამკვიდრნენ, ეს უკვე ყველასთვის ცნობილია.

ამერიკაში გადაბარგების შემდეგ სამეფო წყვილი სკანდალებსა და გულახდილ ინტერვიუებსაც არ ერიდებიან.

სულ ახლახან მათ მონაწილეობას ოფრა უინფრის შოუში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. მეგანმა სამეფო ოჯახი რასიზმშიც კი დაადანაშაულა.

ეს ტიპური დასავლური ცხოვრებაა – აცხადებს მასმედია. სამეფო წყვილმა უარი თქვეს დედოფლის „გირვანქა სტერლინგებზე“. თუმცა დასავლურ ვალუტას კარგად სწყალობენ.

როგორც გაირკვა ამ ერთი გადაცემით, თავად ტელე-არხმა „CBS“-მხოლოდ რეკლამიდან 19 მილიონით იხეირა. წამყვანის, ოფრა უინფრის ანგარიში კი 7 მილიონი დოლარით გაიზარდა.

ზუსტი თანხა, თუ რამდენით გამდიდრდნენ ბრიტანეთის დედოფლის შთამომავლები, ცნობილი არ გახლავთ. თუმცა ყვითელი პრესა ვარაუდობს, რომ წყვილმა 20 მილიონ დოლარზე მეტი გამოიმუშავა ამ გულახდილი ინტერვიუს შემდეგ.

როგორ შეიძლება განვითარდეს ნატოს ორ გავლენიან მოკავშირეს – შეერთებულ შტატებსა და გერმანიას შორის ურთიერთობა ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებში, როგორი იქნება ევროპის გეოპოლიტიკა იმ შემთხვევაში, თუ რუსული მილსადენი „ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის“ მშენებლობა წარმატებით დამთავრდა და შეიძლება თუ არა შეიცვალოს გერმანიის პოზიცია ახლო მომავალში საქართველოს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით? ამ თემებზე გერმანელ ანალიტიკოსს, ჰანს შიდელის ფონდის ვაშინგტონის ოფისის დირექტორ კრისტიან შორსტნერს ვესაუბრეთ. ის ამბობს, რომ გერმანიაში რუსეთის მიმართ ილუზიები არ არსებობს და არავის აქვს მოლოდინები, რომ ბერლინსა და კრემლს შორის ურთიერთობები გაუმჯობესდება. ფორსტნერი ბერლინის პოზიციას განმარტავს, რომ გერმანია ჯერ ისევ თავს იკავებს ნატოში ისეთი ქვეყნების მიღებისგან, რომლებსაც რუსეთთან ტერიტორიული დავები აქვთ, მაგრამ ბერლინი ბუქარესტის სამიტის ერთგული რჩება და საქართველოს ალიანსში საბოლოო გაწევრიანებას მხარს უჭერს. კრისტიან ფორსტნერს „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი ესაუბრა.

რუსეთი არის ძალა, რომელიც მუდამ უნდა გაითვალისწინო!

– ჯო ბაიდენის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ევროპაში გაჩნდა იმედი, რომ ტრანსატლანტიკური ურთიერთობები, განსაკუთრებით, ამერიკა-გერმანიის გაუმჯობესდება. თქვენ რას ფიქრობთ ამ ურთიერთობის პერსპექტივაზე?

ამერიკის არჩევნების შედეგებს მთლიანად გერმანიის საზოგადოებაში და გერმანიის მთავრობაში შვებით შეხვდნენ. გერმანიაში ბაიდენის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობას იმედით უყურებენ. ტრამპის ადმინისტრაციის ბოლო წლები, ბევრი თვალსაზრისით რთული პერიოდი იყო, თუმცა არა შინაარსის გათვალისწინებით. გერმანიაში იციან, რომ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, მათ შორის, თავდაცვაზე დანახარჯების გაზრდის, სავაჭრო დისბალანსის, ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობების, თუ ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის თვალსაზრისით, რომელიც რთული თემაა. გერმანიას ჯერ ისევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი იმისთვის, რომ ამერიკასთან ურთიერთობა კონსტრუქციულ ჩარჩოებს დაუბრუნდეს. ტრამპის ადმინისტრაციის დროს ყველაზე დიდი პრობლემა ის იყო, რომ ნდობა დაიკარგა. ტრამპის ადმინისტრაცია მეგობრებს და მოკავშირეებს მოწინააღმდეგეებივით ექცეოდა...

– ატლანტის ოკეანის ორივე მხარეს ფიქრობდნენ, რომ ტრამპის ადმინისტრაციის მმართველობის დროს ევროპასა და ამერიკას შორის ურთიერთობები დაზიანდა. თქვენც ახსენეთ, რომ მათ შორის ნდობა დაიკარგა. თქვენი აზრით, მხარეებს ჯერ ისევ შეუძლიათ ურთიერთობის გამოსწორება? აქვთ საკმარისი პოლიტიკური კაპიტალი და ნება იმისთვის, რომ ტრანსატლანტიკური ურთიერთობა გააუმჯობესონ?

– საკმარისი კაპიტალი ნამდვილად არსებობს. ამასთან, ჩვენი ეკონომიკური, კულტურული, პერსონალური ურთიერთობები ძალიან მჭიდროა. გერმანია-ამერიკის ორმხრივ ურთიერთობებს მყარი საფუძველი აქვს. ამასთან, თუ გლობალურად შევხედავთ ვითარებას, ეს ყველაფერი მეტად გვაკავშირებს ერთმანეთთან – ჩინეთის აღმასვლა, რუსეთის აგრესია, მისი იმპერიალისტური დამოკიდებულებები, როცა ის მეზობლებს ესხმის თავს და ევროპულ სტაბილურობას ძირს უთხრის. ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ. ეს საკითხი რუსეთთან და ჩინეთთან გეოპოლიტიკურ მეტოქეობას სცდება, რადგან ის ღირებულებებს უკავშირდება. საქმე ეხება თავისუფლებას და მის არქონას, კანონის უზენაესობას და დიქტატურას. მე ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ბაიდენის ადმინისტრაციას საშუალება აქვს, ამ მომენტით ისარგებლოს, თუ ჩვენ ევროპულ მხარესაც შევუთანხმდით და პროაქტიური პოლიტიკის განხორციელება დავიწყეთ.

– როგორ ხედავთ ამერიკა-გერმანიის გეოპოლიტიკურ თანამშრომლობას, როცა ჩრდილოეთის ნაკადი 2 სადაცაა დასრულდება? ეს მილსადენი რუსეთს დიდ გეოპოლიტიკურ უპირატესობას ანიჭებს.

– ეს რთული საკითხია. პირველ რიგში, მეგობრებს და მოკავშირეებს სანქციები არ უნდა დაუწესო, არ აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენად მართებულად მიგაჩნია ამის გაკეთება. ამერიკასა და გერმანიას შორის ამ მილსადენის გამო გაჩენილ დაპირისპირებას ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებზე იმაზე მძიმე უარყოფითი გავლენა ექნება, ვიდრე ამ მილსადენის გეოპოლიტიკური წონაა. უკეთესი იქნება ჩვენი პარტნიორობა შევინარჩუნოთ და ერთმანეთს არ დავუპირისპირდეთ. ეს პროექტი თავიდანვე არასწორად იყო დაწუნებული. გერმანიის მთავრობა ამბობდა, რომ ეს ბიზნეს-პროექტი იყო და მას სტრატეგიული კომპონენტი არ ჰქონდა. დღეს ეს პროექტი თითქმის დამთავრებულია – 90%-ზე მეტი უკვე მზადაა. რუსეთის მიმართ არ არსებობს არანაირი ილუზია, განსაკუთრებით, ალექსეი ნავალნის მოწამვლისა და დაპატიმრების შემდეგ. ამიტომ, ახლაც არ არის გვიან პროექტის განსხვავებული ფორმულირება, რომ ეს ევროპული და არა მხოლოდ გერმანული პროექტია.

გერმანია ენერგო-ცენტრია და იმპორტირებული გაზის 10-15 პროცენტს დაიტოვებს. დანარჩენი 85-90 პროცენტი ევროპის სხვა ქვეყნებზე განაწილდება. მეორე საკითხი ისაა, რომ მივაღწიეთ შეთანხმებას მესამე ენერგო-პაკეტზე, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს რუსულ გაზზე დამოკიდებულება. ასევე დიდი ინვესტიციები ჩავდეთ ცენტრალური ევროპის მილსადენების უკუდინებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ არც ისინი არიან დამოკიდებული რუსულ გაზზე. და მეოთხე საკითხი ისაა, რომ ვაპირებთ, უკრაინის ბიუჯეტს ავუნაზღაუროთ ის დანაკარგი, რომელსაც ქვეყანა ამ მილსადენის გამო განიცდის. ჩვენ უკრაინის მილსადენების სისტემის მოდერნიზაციაში დიდი ინვესტიციები ჩავდეთ. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ რუსეთი უფრო მეტადაა დამოკიდებული გერმანიაზე, ვიდრე გერმანია რუსეთზე. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ რაც უფრო მცირედაა ევროპა წარმოდგენილი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, მით უფრო მეტადაა იქ ჩინეთი. რუსეთისთვის ნაკლები ევროპა ნიშნავს მეტ ჩინეთს.

– თქვენ ალბათ კარგად იცით გერმანიის პრეზიდენტ შტაინმაიერის განცხადება ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის თაობაზე. მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ნაცისტების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოსასყიდად, გერმანიას რუსეთისთვის ჩრდილოეთის ნაკადი 2 მართებს. ამ განცხადებას მკაცრი კრიტიკა მოჰყვა ყველასგან, ვინც ნაცისტური გერმანიის მსხვერპლი იყო, განსაკუთრებით, უკრაინისგან. რას ნიშნავდა ეს განცხადება, რა გამოხმაურება მოჰყვა ამას გერმანიაში და რას ფიქრობთ მასზე თქვენ?

– პრეზიდენტმა შტაინმაიერმა თქვა, რომ გერმანიას რუსეთთან ყველთვის რთული ურთიერთობები ჰქონდა. ეს შეიძლება შევადაროთ სიყვარულისა და სიძულვილის ურთიერთობას, მიღებისა და უარყოფის ურთიერთობას. მაგალითად, რიბენტროპ-მოლოტოვის შეთანხმება გავიხსენოთ. ამ აქტით გერმანია და საბჭოთა კავშირი ევროპის გაყოფაზე შეთანხმდნენ, მაგრამ მალე ჰიტლერი საბჭოთა კავშირში შეიჭრა. ნაცისტური იდეოლოგია სლავების გაადგურებას ისახავდა მიზნად. ამის შემდეგ გერმანია საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის ფრონტის ხაზი იყო და გერმანიას საბჭოთა კავშირისგან ამერიკა იცავდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, საბჭოთა ბლოკთან სავაჭრო ურთიერთობები მაინც გვქონდა, განსაკუთრებით, ენერგეტიკის მიმართულებით. შტაინმაიერმა, როცა ის გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ეს ეკონომიკური ჩართულობა რუსეთის პოლიტიკური მოდერნიზაციის მცდელობისთვის გამოიყენა. არსებობდა დიდი იმედები, რომლებიც სამწუხაროდ არ გამართლდა.

დღეს ეს ურთიერთობა სიყვარულისა და სიძულვილის ურთიერთობაში გადაიზარდა, სადაც სიძულვილი სჭარბობს, განსაკთრებით უკრაინაში შეჭრის, ყირიმის ანექსიის, სკრიპალების მოწამვლის, ნავალნის დაპატიმრების, ჰაკერობის, შპიონაჟის შემდეგ. დღეს ჩვენს შორის უარყოფის პოლიტიკა დომინირებს. გერმანია კი ევროპულ ოჯახთან რჩება, იძნება ეს სანქციები, თუ მინსკის პროცესში რუსეთის მიმართ მოთხოვნები. გერმანიაში რუსეთის მიმართ მიამიტობა არ არსებობს. გერმანიაში რუსეთს არ ენდობიან და ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის ცუდია, ისეთი ცუდი, როგორც ეს ცივი ომის დროს იყო. ერთი რაც შეგვიძლია, ისაა, რომ ურთიერთობა ყველაზე დაბალ დონეზე მაინც დავასტაბილუროთ. პრეზიდენტმა შტაინმაიერმა ის თქვა, რომ ენერგოსფეროში ურთიერთობა ერთადერთი მიმართულებაა, სადაც ჯერ ისევ შეგვიძლია ურთიერთობის ქონა. ზოგადად, რუსეთის მიმართ იმედგაცრუებაა და არავის აქვს იმის მოლოდინი, რომ ჩვენსა და პუტინის რეჟიმს შორის ურთიერთობები გაუმჯობესდება.

– თქვენ თქვით, რომ გერმანია ურთულესი პერიოდის განმავლობაშიც კი ინარჩუნებდა რუსეთთან ურთიერთობას იმ იმედით, რომ რუსეთი გარდაიქმნებოდა. მაგრამ რუსეთში არაფერი შეცვლილა, რუსეთმა მოდერნიზაცია ვერ განიცადა. რუსეთის მეზობლებში არის განცდა, რომ რუსეთს ბევრი რამ გასდის გერმანიასთან ურთიერთობის გამო. თქვენი აზრით, აქვს რაიმე გავლენა სწორედ ამ "სიყვარულისა და სიძულვილის" ურთიერთობას გერმანიასთან რუსეთის დამოკიდებულებაზე საქართველოსთან და უკრაინასთან?

– კი, ვფიქრობ, ამას გავლენა აქვს. რუსეთი ევროპული სახელმწიფოა, ის ევროპული უსაფრთხოების ერთ-ერთი ასპექტია. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს რომ შევხედოთ, ექვსივე ქვეყანაში რუსეთის ჯარია განლაგებული. **რუსეთი არის ძალა, რომელსაც იგნორირებას ვერ გაუკეთებ და რომელიც უნდა გაითვალისწინო**. როდესაც რუსეთი დასავლეთით იყურება, ის პირველ რიგში გერმანიას ხედავს. ამის გამო, განსაკუთრებული ურთიერთობის ქონის სურვილი მოსკოვში უფრო დიდია, ვიდრე ბერლინში. ბერლინი ყოველთვის აცხადებს, რომ ის ევროპული ოჯახის ნაწილია. გერმანიას ასევე უწევს ბევრი განსხვავებული ინტერესის გათვალისწინება. მაგალითად, რუსეთის აგრესია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ სხვა ქვეყნებს სხვა გამოწვევები აქვთ. იტალიას, საბერძნეთს, ესპანეთს, პორტუგალიას ფინანსური, მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, მათი უსაფრთხოებისთვის ჩრდილოეთ აფრიკა უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს, ვიდრე რუსული აგრესია. გერმანიას სჭირდება, ამ ინტერესების გამაერთიანებელი ხიდი იყოს. ამიტომაც, გერმანია ყოველთვის აჩვენებს რუსეთს, რომ რუსეთის პოლიტიკის არც შიდა და არც საგარეო ასპექტები ბერლინისთვის მისაღები არ არის.

– ჯოზეფ ბორელის მოსკოვში ვიზიტი სამარცხვინოდ დამთავრდა. ევროკავშირისა და რუსეთის მოლოდინები აშკარად აცდენილი იყო ერთმანეთს.

– ეს უფრო მეტად ფაქტების დადგენის მისია იყო. ახლა, როცა ბორელი სახლში დაბრუნდა, მან იცის, თუ სად ვართ. ჯერ ისევ ურთიერთობის ძალიან დაბალ ნიშნულზე ვართ. რუსეთის მხრიდან ჯერ ვერ ვხედავთ ვერანაირ გაუმჯობესებას ვერც შიდა, ვერც საგარეო და ვერც გლობალურ თუ ევროპულ პოლიტიკაში. ეს ძალიან მკაფიოდ გამოჩნდა. ეს ვიზიტი არ უნდა შეფასდეს მხოლოდ იმით, თუ რა მოხდა მოსკოვში. ამას მოჰყვება ვიზიტის შეფასება, დასკვნების გაკეთება და შემდგომი ნაბიჯების შემუშავება. ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ევროპელები ამ ვიზიტის შემდეგ სწორ დასკვნებს გააკეთებენ.

– გერმანიაში რუსეთის მიმართ, დროთა განმავლობაში, უარყოფითი დამოკიდებულება მატულობს. თქვენი აზრით, ოდესმე მივალთ იმ მდგომარეობამდე, როცა ამ ნეგატიური ურთიერთობებისა და რუსეთის აგრესიის გამო, ბერლინი ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით პოზიციას შეიცვლის და საქართველოს ნატოში გაწევრიანებას მხარს დაუჭერს?

– ეს რთული საკითხია. გერმანია ნატოს მიმართ სრულიად თავდადებული წევრია. არ არსებობს არანაირი ეჭვი იმაზე, რომ ეს ალიანსი გერმანიის ერთგვარი სიცოცხლის დაზღვევაა. ცივი ომის დროს გერმანიას ნატო იცავდა და გერმანიის უსაფრთხოების გარანტი უპირველეს ყოვლისა ამერიკელები იყვნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გერმანელებმა იფიქრეს, რომ ევროპაში მშვიდობის პერიოდი დადგა. ამას მშვიდობის დივიდენდი დავარქვით. ჩვენთვის ეს იმას ნიშნავდა, რომ აღარ იყო შეიარაღებაში დიდი ინვესტიციების ჩადების საჭიროება, რომ ახლა შეგვეძლო სოციალური პროგრამების დაფინასება, რომ ახლა გარშემო მხოლოდ მეგობრები გვყავდა. მაგრამ ჩვენ დაგვავიწყდა, რომ მეგობრებს მიღმა კონფლიქტები ისევ მიმდინარეობდა. პოლონეთი ჩვენი მეგობარია, მაგრამ უკრაინას რუსეთთან კონფლიქტი აქვს. ჩვენ თურქეთთან ვმეგობრობთ, მაგრამ ახლო აღმოსავლეთს ისევ ცეცხლი უკიდია. ჩვენ ეს დაგვავიწყდა და ახლა ამის შეტრიალებაა საჭირო. გერმანიაში ახალი სტრატეგიული აზროვნებაა საჭირო იმისთვის, რომ ამ კონფლიქტებისთვის თავის გართმევის მეთოდები შევიმუშაოთ. ესენი გაყინული კონფლიქტები არაა. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ომმა ეს კარგად დაგვანახა. ჩვენ ამ კონფლიქტების გადასაჭრელად სათანადო ინსტრუმენტები უნდა მოვნახოთ. არის ეს ინსტრუმენტი ნატოს გაფართოება?

ვფიქრობ, გერმანია ჯერ ისევ თავს იკავებს ნატოში ისეთი წევრების მიღებაზე, რომლებსაც რუსეთთან ტერიტორიული დავები ან გადაუჭრეელი საკითხები აქვს. საქართველო ასეთი ქვეყანაა. ბუქარესტის სამიტის პირობა ძალაშია. საქართველო ნატოს წევრი გახდება, მაგრამ არ არსებობს განრიგი, არ არის დადგენილი ვადა. ვფიქრობ, ჯერ სწორი მექანიზმი უნდა მოვნახოთ და ვადა და განრიგი შემდეგ უნდა მოვითხოვოთ. უნდა მოვნახოთ იმის მექანიზმი, თუ როგორ აღვადგინოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ამის შემდეგ გამოვნახოთ გზები იმისთვის, რომ საქართველო ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებს დავუკავშიროთ. ვიცი, რომ ეს ძალიან რთული საკითხია, მაგრამ მე რომ ვიყო, ზედმეტად არ „მივაწვებოდი“ გერმანიას კონკრეტული თარიღის დასახელებაზე, რადგან გერმანიის პოლიტიკურ სპექტრში ეს არ იქნება კარგად მიღებული.

– როგორ უნდა აღიდგინოს საქართველომ ტერიტორიული მთლიანობა გერმანიის, ამერიკის, სხვა ძლიერი მეგობრების გარეშე მაშინ, როცა საქართველოს რუსეთთან კონფლიქტი კი არ აქვს, ქვეყანაში რუსული საოკუპაციო ჯარი დგას. როგორ უნდა გაიყვანოს საქართველომ ეს ჯარი ქვეყნიდან? ეს მოჯადოებული წრეა.

– ზუსტად. ჩვენ საკუთარ საგარეო პოლიტიკაში სამხედრო ასპექტი წინ უნდა წამოვწიოთ. დღეს, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის დასარეგულირებლად იქ რუსული ჯარი დგას. რატომ არ გავგზავნეთ იქ ეუთოს სამშვიდობოები, რომლებსაც ზურგს იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის ჯარი უმაგრებს? ეს არის ზომები, რომლებიც უფრო მეტად უნდა გამოვიყენოთ და ეს რაც შეიძლება სწრაფად გავაკეთოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ვაკუუმს რუსეთის ფედერაცია ავსებს. ისინი ამ ტერიტორიებზე შედიან და შემდეგ იქ რჩებიან. ეს ხომ რუსეთის განზრახვაა, ისინი ელოდებიან და პოულობენ გახსნილ კარს, შედიან შიგნით და იქიდან ახდენენ გავლენას შიდა თუ საგარეო პოლიტიკაზე. ამისთვის წინააღმდეგობის გასაწევად აუცილებელია მრავალმხრივი მიდგომა იმისთვის, რომ რუსეთის ჯარის შემოსვლა თავიდან ავიცილოთ...

ესაუბრა
ია მეურმიშვილი



ვინ იყო ზიგმუნდ ფროიდი?

ზიგმუნდ ფროიდის ბიოგრაფიას სულ რამდენიმე სტრიქონიც დაიტევდა.

დაიბადა 1856 წლის 8 მაისს დაბა ფრეიბერგში, ბაზაზი ებრაელის ოჯახში. სრული გაკოტრებისთვის რომ თავი დაეღწიათ, ფროიდები 1859 წელს ვენაში გადავიდნენ, სადაც ზიგმუნდ ფროიდმა თითქმის 80 წელიწადი იცხოვრა. 1873 წელს გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოეწყო ვენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, მუშაობდა ვენის, პარიზის, ნენსის თერაპევტულ და ფსიქიატრიულ კლინიკებში. ცოლად ჰყავდა მართა ბერნეი, შეეძინათ ექვსი შვილი. 1902 წლიდან ზიგმუნდი ვენის უნივერსიტეტის პროფესორია. დაამუშავა ფსიქოანალიზის თეორია და პრაქტიკა, 1930 წელს დაჯილდოვდა გოეთეს პრემიით, ხოლო 1936 წელს აირჩიეს სამეფო სამეცნიერო საზოგადოების წევრად. 1938 წელს ნაციონალ-სოციალისტთა ანტისემიტური პოლიტიკის გამო ინგლისში გადავიდა ემიგრანტად, სადაც მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1939 წლის 23 სექტემბერს. მეცნიერის ნეშტი ინახება გოლდერ-გრინის მავზოლეუმში.

აქ შეიძლება რომ დაგვემთავრებინა, იმ გამოჩენილ მეცნიერზე რომ არ ვლაპარაკობდეთ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ მიმართულებას მეცნიერებაში. ის ნამდვილი წინასწარმეტყველი იყო, მისმა შეხედულებებმა ზეგავლენა მოახდინეს თანამედროვე კულტურის მრავალ დარგზე. „კაცობრიობის მთელ ისტორიაში ცოტა იდეას თუ მოუხდენია ესოდენ დიდი და მნიშვნელოვანი გემოქმედება“ (ლ. ხიელი, დ. ზიგლერი).

ზიგმუნდ ფროიდის სამეცნიერო მიზნები ადამიანის ფსიქიკის დარგში საოცრად არის შერწყმული თვითონ იმისავე პირად განცდებთან და ყრმობის მოგონებასთან, რაც უმდიდრეს მასალას აძლევს მეცნიერს შემდგომი კვლევისთვის. თავის ბავშვობასა და ყრმობაზე ფროიდს მაინცდამაინც გულგასახარი შთაბეჭდილებანი არ შემორჩენია: „მე ისეთი მშობლების შვილი ვიყავი... მშვიდად და კეთილმოწყობილად რომ ცხოვრობდნენ ამ პატარა პროვინციულ ბუდეში. ასე, ორი წლისა რომ შევსრულდი, მამაჩემი გაკოტრდა, ამიტომ ჩვენი სოფელი მივატოვეთ და დიდ ქალაქში გადავედით. ამას კარგა გვარიანად გრძელი და რთული წლები მოჰყვა, რომელთაგან, მგონია, არც ერთია ღირსეულად მოსაგონებელი. ზიგმუნდმა ბავშვობიდანვე გამოიჩინა განსაკუთრებული უნარი და სწრაფვა სწავლაში, გულისყური სუყოველივე ახლის, ნარუქის მიმართ, რასაც ყოველნაირად უჭერდნენ მხარს მშობლები. შვილს რაც შეიძლებოდა სწავლის კარგი პირობები შეუქმნეს, ზიგმუნდის გარდა, დანარჩენი შვიდი შვილის ხარჯზე. ალბათ, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ზიგმუნდის დედის წინასწარმეტყველებას ფეხმძიმობის დროს, ამჯერად ისეთი მეყოლება, რომელსაც დიდი კაცობა უწერიაო, ამბობდა იგი. ცნობილია, მაგალითად, რომ პატარა ზიგმუნდს ცალკე ოთახი გამოუყვეს და ნავთის ლამპა დაუდგეს, როცა დანარჩენი ბავშვები სანთლის შუქზე მეცადინეობდნენ. ფროიდის ხასიათის ემოციურ განვითარებასა და ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა დედამ, ამ ამბავმა კი შემდგომ ფროიდს დაასკვნევინა:

„ადამიანი, რომელიც ბავშვობაში დედას უზომოდ უყვარდა, მერე მთელი ცხოვრება გამარჯვებულის გრძნობით არის შეპყრობილი და წუთიერადაც არ ტოვებს წარმატებულობის რწმენა, რაც ხშირად მართლაც ბიძგს აძლევს ამ წარმატებასა თუ წარმატებულობას“.

და თუ ყმაწვილის ოცნებას დიდებაზე, პატივსა და შეძლებაზე ახდენა ეწერა, მხოლოდ და მხოლოდ თვითონ ზიგმუნდ ფროიდის შრომისმოყვარეობისა და მიზანსწრაფვის, სიბეჯითის წყალობით, რის გამოც ფროიდი წერდა: „ბავშვობიდან მგზავ ვიყავი იმისთვის, რომ აკრძალული ვყოფილიყავი „უმრავლესობის თანხმობით“, აბრე და ამგვარად ჩამომიყალიბდა განსჯაში დამოუკიდებლობის განსაზღვრული ხარისხი“.

ფროიდის სახელთან დაკავშირებულია: ადამიანის ფსიქიკაში შეუცნობლობის აღმოჩენა და ამ შეუცნობლის განვითარების ფსიქოსექსუალური ფაზები, ადრეული ბავშვობის განცდათა და ზმანებათა განცდები, თავისუფალ ასოციაციათა მეთოდის დამუშავება, „ოიდიპოსის კომპლექსის“ თეორიის შექმნა, „ლიბიდოსა“ და მეცნიერებაში ფსიქოანალიზის ახალი მიმართულება.

ფროიდს, როგორც მეცნიერს, ჯერ ვერ გაუგეს და არც იმისი შეხედულებები ეხებათ კოლეგებს, ხოლო მერე მიმდევრებმა და ფართო საზოგადოებამ აღიარეს კიდეც და გაავრცელეს, ხელმისაწვდომი გახადეს იმისი იდეები. ფროიდის თხზულებათა კრებულმა 24 ტომი შეადგინა. ფსიქიატრიაში არაერთი აღმოჩენის გამო მეცნიერი ნობელის პრემიის მოსაპოვებლადაც წარადგინეს, თუმცა პრემია იმისმა კოლეგამ მიიღო. ფროიდმა მადლობა გადაუხადა ლონდონის უნივერსიტეტს აინშტაინის გვერდით დაყენებისთვის და დასძინა: „იმ ჭაბუკს გაუმართლა, წინ ბევრი დიდი წინაპარი უძღოდა ჯერ კიდევ ნიუტონით დაწყებული, ეს მაშინ, როცა მე მარტოს მომიწია ჯუნგლებში გაღწევა. სულაც არ არის საკვირველი, რომ ჩემი გზა არცთუ იოლია, და ცოტათი მაინც წავიწიე ამ გზაზე“.

ფსიქოანალიზს დევნიდნენ გერმანიაში. 1933 წელს ფაშისტებმა ფროიდის წიგნები რომ დაწვეს, მეცნიერი ასე გამოეხმაურა ამ ამბავს: „ხედავთ, რა პროგრესს მივაღწიეთ! შუა საუკუნეებში ეგენი, ალბათ, მე თვითონ დამწვავდნენ, ჩვენს დროში კი ჩემი წიგნების დაწვაც იკმარეს“. ფროიდის იდეები ერთმნიშვნელოვნად არ აღიქმებოდა ჯერ კიდევ იმისსავე სიცოცხლეში და შემდეგაც, მეცნიერებაში ფროიდის ღვაწლის შეფასებისას ამჟამადაც იგრძნობა დაპირისპირება. მეცნიერნი ფროიდს ეძახდნენ ცრუწავლულს, შარლატანს, მე-20 საუკუნის უდიდეს ინტელექტუალურ ყალთაბანდს (პ. მედავრი), ის კი არა, ზოგი უშვერსა და უსამსსაც ეძახდა.

თანამედროვე მეცნიერნი ფროიდს უყურებენ როგორც ისტორიულ ფენომენს, მაგისი თეორია არქაული და მოძველებულიაო (დრიუ ვესტერნი).

სხვებრ, ფროიდის ზეგავლენა XX საუკუნის დასავლურ ცივილიზაციაზე უდავოა. ფროიდის შრომებმა ზეგავლენა მოახდინეს არა მარტო ფსიქოლოგიაზე, არამედ ფილოსოფიაზეც, მედიცინაზეც, კულტურულოგიაზეც, ლიტერატურასა და ხელოვნებაზეც. „დროისაგან დამოუკიდებლად ფროიდი ის ფიგურაა ფსიქოლოგიაში, რომელსაც აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს (რობერტ ფრეიჯერი, ჯეიმს ფეიდიმენი).

„ყოველთვის სულ იმის ცდაში ვარ, რომ ადამიანში, ქალშიც და კაცშიც, უწინარესად, ხასიათის საუკეთესო თვისებები დავინახო,



— აგრე იტყოდა ზიგმუნდ ფროიდი

ქართულად გადმოაქცია
გურამ გოგიაშვილმა

თავი 1

„თავის თავზე“

ჩემი სამეცნიერო მუშაობის მიზანი არაჩვეულებრივის, ფსიქიკის ანომალურ, პათოლოგიურ გამოვლინებათა ახსნა-განმარტებაა, სხვაგვარად თუ ვიტყვით, უნდა გავარკვიოთ, თუ რა ძალები მოქმედებენ ამ გამოვლინებათა უკან და გავიგოთ, რა მექანიზმები მონაწილეობენ ამ ძალებში. თავდაპირველად ამას ჩემს თავზე ვცდიდი, მერე სხვებზე და საბოლოოდ, გავრისკე მთლიანად კაცობრიობაზე გადატანა.

* * *

მთელი ჩემი ცხოვრების შრომა ერთადერთ მიზანს დავუქვემდებარე. ნიადაგ ვაკვირდებოდი ჯანმრთელთა და ავადმყოფთა ფსიქიკური მოღვაწეობის ფაქიზ დარღვევებს და მინდოდა, რომ იმათ ნიშან-თვისებებზე დაფუძნებით აღმომეჩინა – ან თუ გნებავთ, გამომეცნო, რაგვარად არის მოწყობილი ის მექანიზმი, ამ მოღვაწეობას რომ უზრუნველყოფს, და რა ძალები ურთიერთმოქმედებენ და უკუქმედებენ მასში.

* * *

რასაკვირველია, ყოველთვის მოთმინების უნარს ვაუპირატესებდი და ვერიდებოდი ავტორიტეტით დათრგუნვას, მაგრამ ცხოვრებაში ეს არ გამოდის. საქმე ავტომობილისა და ქვეითად მოსიარულეს გვაგონებს. ავტომობილით დიდხანს სიარულს რომ ვიწყებდი, ეგრევე მაღიზიანებდა ქვეითად მოსიარულეთა ქარაფშუტობა და მწაფელმეეტლეთა მოურიდებლობა.

* * *

მე გაცილებით შესაძლებლად წარმომიდგენია, რომ ბოღმა და სენსაციურობის განწყობა თანამედროვე მსოფლიოში ჩემი შეხედულებების სუყოველ ნაკლოვანებას ანეიტრალებენ, გავლენას უკარგავენ.

* * *

სულაც არ მახარებს იმ სქოლასტებისა და თალმუდისტების გვერდით აღმოჩენის შესაძლებლობა მომავალში, რომელი სქოლასტები და თალმუდისტებიც თვითონ წარმოაჩენენ თავიანთ გამომგონებლობას, ხოლო ყურადღებას სულაც არ აქცევენ იმას, რა შორს შეიძლება რომ იყვეს იმათი შეხედულებები სინამდვილიდან.

* * *

მე ვაუკაცობა არა მყოფნის იმისთვის, რომ ჩემს თანამოქალაქეებს წარვუდგე როგორც წინასწარმეტყველი, და ვიღებ იმათ საყვედურს, რომ არცრა ნუგეშინისცემა არ ძალმიძს, თუმცაღა ნუგეშს ითხოვს სუყველა – ყოვლის უფრორე თავზე ხელაღებული რევოლუციონერები არანაკლებ მგზნებარედ, ვიდრე ყოვლის უფრორე თვინიერი მორწმუნენი.

* * *

ვერავითარი მოსაზრებანი, ყველაფრისდა მიუხედავად ვერ მაიძულებდნენ, რომ ჭეშმარიტებისთვის დამემჯობინებინა ეგრეთ წოდებული ეროვნული მიზნები.

* * *

პოეტებმა და ფილოსოფოსებმა ჩემზე მევრად ადრე აღმოაჩინეს შეუცნობელი... რაც მე აღმოვაჩინე, შეუცნობლის შესწავლის მხოლოდ მეცნიერული მეთოდია.

* * *

რაცა ვარ, ის არ ვიქნებოდი, მეცნიერებაში კმაყოფილებას რომ ვეძებდე, რაც შეუძლებელია თუ არა მომქანცველი, ხანგრძლივი რუდუნება, გარჯილი შრომა, ძიება და მეცნიერულ გამონათებათა ბედნიერი გაელვებანი.

* * *

რატომ მებაღეობა ანდა პოეტობა არ ვამჯობინე ექიმის პროზაულ პროფესიას?..

* * *

ჩემს ტვინში ყველაფერი საოცრად განლაგებულა, თითქოსდა ცალკეულ რამ უჯრედებში: ამბები, თეორიები, დიაგნოზები, ფორმულები. მთელი მედიცინა სრულად ეტევა ჩემს თავში, ლაღად და თავისუფლად.

* * *

ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მიზნის მისაღწევად არის გრძელი გზაც და მოკლეც. მე იძულებული ვარ, რომ გრძელი გზით ვიარო, და იმის რწმენა არა და არ მკარგავს, ვიცი, ბოლოს და ბოლოს, მაინც მივაღწევ მიზანს.

* * *

ვისაც სექსუალობა ადამიანის გუნებისთვის სამარცხვინო და დამამცირებელ რამედ მიაჩნია, იმას კეთილხმოვანი გამოთქმებით სარგებლობა შეუძლია: გამოიყენოს ეროსი ან ეროტიკა. მეც შემეძლო, რომ ზუსტად აგრე მოვქცეულიყავი და თავიდან ავიცილებდი უამრავ გამტრიზავებელთა სამდურავს, მაგრამ არა ვქენი, რადგან სულმოკლეობისთვის დათმობა არ მინდოდა.

* * *

როცა პირველად ხედავ ზღვას, გადაკვეთ ოკეანეს, საკუთარი გამოცდილებით შეიმეცნებ იმ ქალაქისა და ქვეყნის სინამდვილეს, ერთიცა და მეორეც აგრერიგად შორეულად შენი სურვილის მიუწვდომელ ადგილებად რომ გეჩვენებოდა, თავს გმირად წარმოიდგენ, რომელმაც დაუჯერებელი რამ გმირობა რომ ჩაიდინე.

* * *

არასწორია, თითქოს გიმნაზიაში სწავლის დროს, ვითომ მაეჭვებდა ათენის რეალური არსებობა. არა, მე ის მაეჭვებდა, ოდესმე ვნახავდი თუ არა ათენს. მოგზაურობა შორეულ ამბად მეჩვენებოდა და ჩემს ყოველგვარ შესაძლებლობას აღემატებოდა. ეს პირდაპირ იყო დაკავშირებული ჩემი სიყრმის ცხოვრების პირობების შეზღუდულობასა და სიმწირესთან. მოგზაურობის მგზნებარე ჟინი უთუოდ ანარეკლი იყო აგრეთვე ჩემი იმ მოთხოვნილებისა, რომ თავი დამეღწია ამ უსუსური ყოფისთვის, რაც აგრერიგად ენათესავებოდა მოზარდის სახლიდან გაქცევის სწრაფვას. ჩემთვის კარგა ხნის ნათელი იყო, რომ მოგზაურობით განცდილი კმაყოფილების დიდი ნაწილი ჩემი ამ ძველი სურვილიდან გამომდინარეობდა, მაშასადამე, სახლითა და ოჯახით უკმაყოფილებასთან იყო კავშირში.

* * *

მეც ისევე კარგად ვიცი გინება, როგორც სუყოველმა სხვამ, მაგრამ არ შემიძლია, რომ ლიტერატურული ფორმა შევძინო იმას, მთელ ამ ეფექტს რომ ესაფუძვლება და ამიტომ გინებისგან თავის შეკავებას ვამჯობინებ.

* * *

ადამიანების სიყვარული მე თავადაც მახასიათებს, სულაც სენტიმენტალური გულის წადილისა ანდა იდეალის მოთხოვნილებისა გამო კი არა, არამედ პროზაული ფსიქოეკონომიკური მიზეზისა გამო, რადგან გარემომცველი სამყაროს რეალიებმა და ჩვენი მისწრაფებების მიმართულებამ მაიძულეს, რომ სიყვარული იმდენადვე აუცილებლად მეღიარებინა კაცთა მოდგმის საშველად, როგორც, მაგალითად, ტექნიკის გადასარჩენად.

* * *

სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ იმ უღირსთა რიცხვს ვეკუთვნი, რომელთა სულიც წყვეტს თავის სამუშაოს და ზეგრძნობიერი ქროლდება, ასე რომ, მე პირადად არცროდის ისეთი რამ არ განმიცდია, რაც სასწაულის მოხდენის რწმენის საბაბს გამიჩენდა.

* * *

მართა ჩემო, ჩემო მშვენებავ, რომელზეც სუყოველნი პატივისცემით ლაპარაკობენ, რომელიც პირველი შეხვედრისთანავე გრძნობით ღრმად განმსჭვალული ნდობით მომექცა, განმიმტკიცა საკუთარი მნიშვნელოვნობის რწმენა და შემძინა სამუშაოს ძალა, რაიც ყოველის უფრორე აუცილებელი იყო ჩემთვის.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

◎ მუნდიალ – 2022

სანიოლის სია

2022 წელს გასამართავი მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის საქართველოს ნაკრების ახლადდანიშნულმა ფრანგმა მწვრთნელმა ვინი სანიოლმა 25-კაციანი შემადგენლობა დაასახელა.

ვლადიმირ ვაისის გუნდთან შედარებით, ვინი სანიოლმა რამდენიმე ცვლილება განახორციელა. მათგან აღსანიშნავი, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, უნგრული „ფეჰერვარის“ ფორვარდის **ბუდუ ზივზივაძის** დაბრუნებაა.

რაც შეეხება დებიუტანტებს, ფრანგმა ამ მხრივაც საკმაოდ საინტერესო შემადგენლობა შემოგვთავაზა. საბოლოოდ დადასტურდა, რომ ნაკრებში დებიუტი ექნება ბელგიური „სერენის“ იმედისმომცემ ფორვარდს **ჟორჟ მიქაუტაძეს,** რომლის გადმოსაბირებლადაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დიდი შრომა გასწია.

მიქაუტაძის გარდა ნაკრებში დებიუტი ექნებათ თბილისის „ლოკომოტივის“ 20 წლის მეკარეს **გიორგი მამარდაშვილს,** ბათუმის „დინამოს“ 24 წლის მარჯვენა მცველს **გრიგოლ ჩაბრაძეს** და ავსტრიული „ვოლფსბერგერის“ მარცხენა მცველს **გურამ გიორბელიძეს.**

საკვალიფიკაციო ეტაპს საქართველო 25 მარტს შვედეთთან გასვლითი შეხვედრით დაიწყებს, რომელსაც ზლატან იბრაჰიმოვიჩი უბრუნდება, 28 მარტს ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ ესპანეთს უმასპინძლებს, ხოლო 31 მარტს საბერძნეთს ესტუმრება. ამ მატჩებისთვის მოსამზადებლად „ჯვაროსნები“ შეკრებას 22 მარტიდან თბილისში გაივლიან.

◎ ლეგიონერი

საამაყო ფიფული

ძართველი კალათბურთელის გიორგი ბეჟანიშვილის „ილინოის ფაითინგ ილინი“ 2005 წლის შემდეგ პირველად ამერიკის სტუდენტური ლიგის (NCAA) Big Ten-ის კონფერენციის ჩემპიონი გახდა. ფინალში ილინოისელებმა „ოჰაიო სტეიტთან“ მძიმე ბრძოლაში, ოვერტაიმში 91:88 იმარჯვეს.

ჩვენმა თანამემამულემ საჩემპიონო შეხვედრაში 16 წუთი ითამაშა და ხსენებულ დროში 12 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. გიორგიმ 4-დან 3 ორქულიანი და 6-დან 6 საჯარიმო ჩააგდო.

ამ დღეებშივე ატლანტიკის სანაპიროს კონფერენციის ჩემპიონი „ჯორჯია ტექ“ გახდა, სადაც **საბა გიგიბერია** თამაშობს.

ამასობაში ფიბას ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა თამაშის შემდეგ ყველაზე სასარგებლო კალათბურთელად დასახელებულმა **გიორგი შერმადინმა.**

რიგის ვეფ-თან 77:64 მოგებულ შეხვედრაში „ტენერიფეს“ ქართველმა ლიდერმა 23 წუთში პარტნიორებს 25 ქულა, 9 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა შეაშველა, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტმა კი 31(!) შეადგინა.

◎ 64

რჩეული ეტიუდები და პარტიები

ორიგინალური თამაშის სტილის გამო მას უწოდეს „ჭადრაკის დონ-კიხოტი“

ფრენკ მარშალი
(11877-1944)

XX საუკუნის დასაწყისში უძლიერესმა ამერიკელმა მოჭადრაკემ ტურნირში ერთადერთი დამარცხება მიაყენა ლეგენდარულ ემანუილ ლასკერს (1900, პარიზი). იგი მრავალჯერ დაჯილდოვდა პრიზებით, მათ შორის „ყველაზე ლამაზი სვლისათვის“ რუს მოჭადრაკე ლევიცკისთან (19876-1924) ორთაბრძოლისას, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

სამი დარტყმის ქვეშ მყოფ ლაზიერს არც ერთის არ „ეშინია“. ლგ3 – ყველაზე ლამაზი სვლაა.

მის სახელს ატარებს ვარიანტი სიცილიურ დაცვაში

ლუი პაულსენი
(1833-1891)

გერმანელმა მოჭადრაკემ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი დაფაზე დაუხედავად თამაშში. იგი „ბრმად“ 15 მოჭადრაკეს ეთამაშა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ვ. სტეინიცმა მას „ახალი პოზიციური სკოლის პიონერი“ უწოდა. ცხოვრობდა ამერიკაში. I საჭადრაკო კონკურსში 1857 წელს პოლ მორფის შემდეგ II ადგილი დაიკავა.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული საჭადრაკო სკოლის აღმავლობაში

ედუარდ გუფელდი
(1936-2002)

საერთაშორისო დიდოსტატი (1967), ლიტერატორი და თეორეტიკოსი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი (1977). 1973-88 წლებში ცხოვრობდა თბილისში. წვრთნიდა საქართველოს ქალთა ნაკრებს, რომელიც იმავდროულად წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებს შვეიცარიასა (1982) და საბერძნეთში (1984). ქართველ საზოგადოებას კარგად ახსოვს ამაგდარი დიდოსტატი და პედაგოგი, რომელმაც ღრმა კვალი დააჩნია სპორტის ამ სახეობას. 1995 წლიდან ცხოვრობდა ლოს-ანჯელესში და იქვე გარდაიცვალა.

I. ლევიცკი – მარშალი
1912



II. პაულსენი – მეეგერი
1888



მოგება

III. ბაგიროვი – გუფელდი
1973

მოგება

I 21...ეh6 22.ლg5 ეh3 23.ეc5 ლg3, 0:1 II 1.მg4 მc6 2.ცb6 მd6 3.მc4 მc6 4.მb4 მd6 5.მb5 მd7 6.მc5 მc8 7.ცa7 მc8 8.მb6 მd7 9.ცb8 მc8 10.ცf4 მd7 11.მb6 მc8 12.ცg3 III 25...ცe6 26.ცxe6 მd3 27.ლf7 ლb8+ 28.ცb3 ეxb3+ 29.მc2 მb4+ 30.მxb3 მd5+ 31.მc2 ლb2+ 32.მd3 ლb5+ 0:1 შენიშვნა: II 1.მc4 სასტვენი ხვლინა, მოამზადებინა მg4

მოამზადა
თამაზ შენგელია

◎ ლეგიონერი

მოტივაცია არ გვაკლია

ხვალ 15 საათზე კალინინგრადში დაიწყება საქართველოსა და რუსეთის ნაკრებთა პრინციპული ბრძოლა რაგბი ევროპის ჩემპიონატის მესამე ტურის ეგიდით, რომელიც პარალელურად საფრანგეთში 2023 წელს გასამართავი მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მატჩსაც წარმოადგენს (მსაჯი – იტალიელი ანდრეა პიარდი).

შეგახსენებთ, რომ აქამდე „ბორჯღალოსნებმა“ ორივე გასვლითი შეხვედრა მოიგეს – პორტუგალიასა (ბონუს-ქულით) და ესპანეთში და 9 ქულით გათამაშების ლიდერები არიან.

სამწუხაროდ, ლევან მაისაშვილს მარგალიტაძისა („ლელო“) და გოგინავას („ანგულემი“) გამოძახება მოუხდა, რადგან ტრავმების გამო პარტნიორებს ლობჟანიძე, საღინაძე, თაფლაძე და აბულაძე ვერ დაეხმარებიან. გარდა ამისა, არაა გამორიცხული ჩვენი გუნდის თავკაცმა რუსულ კლუბებში მოთამაშე ორი ლეგიონერიც მიიწვიოს.

ხვალინდელი ჯახის პირდაპირ რეპორტაჟს „ტელეიმედი“ შემოგვთავაზებს.

ცოტა რამ ისტორიიდან: „დათვებს“ აქამდე 22-ჯერ მოვუგეთ, ერთხელ დავმარცხდით (1993 წელს პოლონურ სოპოტში – 9:15) და ერთხელაც დავუზავდით (2002 წელს თბილისში – 12:12).

უმნიშვნელოვანესი ბრძოლის წინ გაირკვა, რომ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრმა, ირაკლი აბუსერიძის მსგავსად, თავდაპირველად რეგისტრაციაზე უარი სოსო ტყემალაძესაც უთხრა წესდების მე-8 მუხლის დარღვევის გამო, თუმცა გუშინ გადაწყვეტილება შეცვალა და პირველი ვერდიქტი ძალაში დატოვა.

დიდმარხვის I კვირიაკე

21 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდი მარხვის პირველ კვირიაკეს დღესასწაულობს.

...ცნობილია, რომ ბიზანტიის სახელმწიფოს გაძლიერების ჟამს VIII საუკუნეში იქ წარმოიშვა ახალი ერესი, რომელიც ხატმებრძოლობის სახელითაა ცნობილი. ხატმებრძოლობა მთელი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა.

ნიშანდობლივია, რომ 842 წელს მოიწვიეს კრება, მისი აქტები ეფუძნებოდა მეშვიდე მსოფლიო კრების დადგენილებებს, ადგილობრივმა კრებამ ხატმებრძოლობა დაგმო, ხატთა თაყვანისცემა აღადგინა და მართლმადიდებლობის ზეიმი გამოაცხადა, რომელსაც იმ დღიდან მოყოლებული მართლმადიდებელი ეკლესია ყოველ წელიწადს, დიდი მარხვის პირველ კვირიაკეს დღესასწაულობს!

მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებას ხილული ნიშნები, სასწაულებიც მოწმობენ — მადლმოსილი ცეცხლის გადმოსვლა მაცხოვრის საფლავზე, ნათლისღების დღესასწაული, ფერისცვალების დღესასწაული — როცა მოწმენდილ ცაზე აუცილებლად გამოჩნდება ღრუბელი თაბორის მთაზე...

20 მარტს, დიდმარხვის პირველ შაბათს მართლმადიდებელი ეკლესია იხსენიებს დიდმოწამე თეოდორე ტირონს.

გიული ლიპარტია

სანთელი



მეუღლე მზია ქურიძე, და დალი ქურიძე, სიძე აბესალომ იმედაშვილი, შვილი მალხაზი, შვილიშვილები მარიამი, ვასილი, დისშვილები ეკა, მამუკა იმედაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გულადი ვალერიანის ძე ქურიძე

დაკრძალვა სოფელ ჭალადიდში, 21 III, 15 სთ. ძველ სასაფლაოზე.

იაპონია – ქართული ღვინის სტრატეგიული ბაზარი

იაპონიაში ქართული ღვინის მარკეტინგულ და სარეკლამო ღონისძიებებს კომპანია „Red Bridge“ განახორციელებს. ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და იაპონურ მარკეტინგულ კომპანიას „Red Bridge“ შორის თანამშრომლობის შესახებ კონტრაქტს ხელი უკვე მოეწერა.



Red Bridge-ს იაპონიაში ერთადერთი ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში ხელმძღვანელობს.

2021 წელს კენიჩი ოჰაშის ხელმძღვანელობით ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარები იაპონიის სხვადასხვა ქალაქში ღვინის პროფესიონალებისა და ღვინით ვაჭრობის სფეროში დასაქმებული კომერციული პირებისთვის გაიმართება.

იაპონია ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული ბაზარია, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის პირველი მასშტაბური წარდგენა 2014 წელს მოხდა. შემდგომ წლებში, ასევე ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის კომპანიები მონაწილეობდნენ გამოფენებში „Foodex Japan“ და „Wine and Gourmet Japan“, ადგილობრივ ღვინის კონკურსებში, მოეწყო იაპონელი ღვინის პროფესიონალებისა და მედიის წარმომადგენლების ტურები საქართველოში, ქართული ღვინის წარდგენა-დეგუსტაციები იაპონიის სხვადასხვა ქალაქში. 2019 წელს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გაიმართა გამოფენა „საქართველო ღვინის სამშობლო“, რომელმაც, 2 თვის განმავლობაში, ათასობით დამთვალიერებელს უმასპინძლა.

ტრაგედია ქობულეთში

ქობულეთში, გაგარინის ქუჩაზე უბედურ შემთხვევას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, სახურავის შეკეთებისას მამა-შვილი ჩამოვარდა და ადგილზე გარდაიცვალნენ. ისინი მეზობელს სახლის სახურავის გაკეთებაში ეხმარებოდნენ.

შემთხვევა გუშინ საღამოს მოხდა. გადაუდებელი დახმარების ცენტრის ინფორმაციით, სასწრაფო დახმარების ჯგუფს ორივე მოქალაქე გარდაცვლილი დახვდა.

ნოტარიუსთა პალატა: სამკვიდრო მოწმობის გაცემა მხოლოდ ნოტარიუსის კომპეტენციაა

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში გაკეთებულ განცხადებას ეხმიანება, სადაც ერთ-ერთი იურიდიული კომპანიის იურისტი მოქალაქეებს მემკვიდრეობის და სამკვიდრო მოწმობის გაცემის სერვისს სთავაზობს.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა განმარტავს, რომ ყველა ის სარეკლამო განცხადება, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს სამკვიდრო მოწმობების გაცემას, მოქალაქის შეცდომაში შეყვანის მცდელობაა, ვინაიდან „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის, 38-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, სამკვიდრო მოწმობის გაცემა მხოლოდ ნოტარიუსის კომპეტენციაა.

შესაბამისად, სხვა კერძო და იურიდიული პირები არ არიან უფლებამოსილნი, აწარმოონ სამემკვიდრეო საქმე და გასცენ სამკვიდრო მოწმობა.

„როგორც მემკვიდრეობის, ასევე ნოტარიუსთა პალატის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ნოტარიუსი, როგორც მიუკერძოებელი იურიდიული მრჩეველი გასცემს სრულყოფილ და ამომწურავ კონსულტაციას.

შესაბამისად, ნოტარიუსთა პალატა მოუწოდებს მოქალაქეებს, სანოტარო საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე კონსულტაცია გაიარონ მხოლოდ ნოტარიუსებთან ან მიმართონ ნოტარიუსთა პალატის ცხელ ხაზს: 2 206 776; 2 206 777. ზარი უფასოა“, — ნათქვამია განცხადებაში.

საგანგებო სიტუაციების და გადაუდებელი დახმარების ცენტრი დმანისში

დმანისში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ახალი შენობა გაიხსნა, - ამის შესახებ ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცენტრი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სპეციფიკის გათვალისწინებითაა დაპროექტებული და ადგილზე პერსონალისთვის სამუშაო და მოსასვენებელი ყველა პირობაა შექმნილი.

პროექტი ქვეყანაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერვისის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

პროტესტი გალიდან: ვის უყურადღებობას შეეწირა ნარგიზ აბუთიძის სიცოცხლე?!

16 მარტს ანაკლიის საკარანტინე სივრცეში გალელი ექთანი ნარგიზა აბუთიძე გარდაიცვალა. მას კარგად იცნობდნენ ოკუპირებულ გალში და ახასიათებენ როგორც ერთ-ერთ ყველაზე გულისხმიერ მედპერსონალს, რომელიც პაციენტების დახმარებას ყოველთვის ცდილობდა, თუმცა როდესაც პაციენტის სტატუსი თავად მიიღო,მისთვის დამახასიათებელი გულისხმიერებით სავარაუდოდ, არ მოეკიდნენ, ან დააგვიანეს: როგორც „აძცენტს“ კონფლიქტოლოგი გიორგი კანაშვილი გალიდან მიღებულ ცნობებზე დაყრდნობით უყვება, ექთანს ჯანმრთელობის პრობლემა გალში შეექმნა, მიმართა ექიმს, დაუდგინდა ინსულტის ნიშნები, მიიღო შესაბამისი მიმართვაც და როგორც ამას სტანდარტული პროცედურა ითვალისწინებს, სამედიცინო მიზნებისთვის ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოვიდა უპრობლემოდ — მისთვის ხელი აფხაზ და რუს „მესაზღვრეებს“ არ შეუშლიათ, თუმცა პრობლემები დაიწყო იქ, სადაც იდეაში, ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულ მოქალაქეს თავი უსაფრთხოდ უნდა ეგრძნო: ზუგდიდში ჩაითვალა, რომ ქალი დაუყონებლივ სამედიცინო დახმარებას არ საჭიროებდა და 5-დღიან სავალდებულო კარანტინს დაუქვემდებარეს.

ანაკლიის საკარანტინე სივრცეში ყვებიან, რომ ადმინისტრაციას დაუკავშირდა ქალის ნათესავი, ვინაიდან თავად აბუთიძესთან კონტაქტზე ვერ გადიოდნენ... ნათესავის ზარის შემდეგ აბუთიძეს მისთვის განკუთვნილ ოთახში უგონო მდგომარეობაში მიაკვლიეს. წინასწარი ვერსიით, ეჭვი მიოკარდიუმის ინფარქტზეა.

ამ ტრაგიკულმა ფაქტმა კიდევ ერთხელ წამოჭრა სიმწვავით სავალდებულო კარანტინის პრობლემა, რის გამოც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს ზუგდიდში გადმოსვლა არა მხოლოდ აფხაზი და რუსი „მესაზღვრეებისგან“, არამედ ქართველი პოლიციელებისგან მალვით უწევთ.

მართალია, ცენტრალურმა ხელისუფლებამ 12-დღიანი სავალდებულო კარანტინი 5 დღემდე შეამცირა, თუმცა აღნიშნული გალის მკვიდრებს პრობლემას ვერ უგვარებს, ვინაიდან ხშირად, მათ ზუგდიდში გადმოსვლა მხოლოდ რამდენიმე საათით უწევთ სხვადასხვა საჭიროებებისთვის, იქნება ეს პროდუქტის, საყოფაცხოვრებო ნივთების, მედიკამენტების შეძენა, თუ პენსია.

როგორც კანაშვილი ამბობს, სავსებით შესაძლებელია, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებლებს თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა ყოველგვარი ბარიერების გარეშე შეეძლოთ, რადგან ცენტრალური ხელისუფლება იცნობს უშუალოდ გალში არსებულ ვითარებას და იცის ისიც, რომ ეპიდვითარება არაა უფრო მძიმე, ვიდრე იგივე, ზუგდიდში. ალტერნატიულ ვერსიად კანაშვილი ენგურის ხიდის გადმოკვეთისას მოქალაქეების ტესტირებას მოიაზრებს სწრაფი ტესტით და ამბობს, რომ გალის მკვიდრები მზად არიან, თავად უზრუნველყონ ტესტირების საფასური.

„ხელისუფლების მიდგომა არის გაუგებარი და არასახელმწიფოებრივი! ქალბატონის გარდაცვალებამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მიდგომის პრობლემურობას. ძალიან ბევრ ადამიანს აქვს სხვადასხვა სახის პრობლემა, მაგრამ თავს იკავებენ გადმოსვლისგან. გარდა ამისა, მათ გაუძვირდათ პროდუქტი“, — ამბობს კანაშვილი.

ამასთან, კანაშვილი საინტერესო და საეჭვო გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას: მისი ინფორმაციით, ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან გალში ტვირთები შედის, რაც იმ პირობებში, როდესაც გალის მკვიდრებისთვის ენგურის გადმოკვეთის, ზუგდიდში სასურველი პროდუქტის შეძენის და უკან — შინ დაბრუნებისთვის ხელოვნური ბარიერებია შექმნილი, შესაძლო კორუფციის არსებობის თაობაზე აჩენს ეჭვებს.

ამასთან, კანაშვილი ამბობს, რომ არსებული ბარიერების წინააღმდეგ გალში სამედიცინო პერსონალი გაფიცვას გეგმავს, მათი პროტესტის მთავარი ადრესატი კი ცენტრალური ხელისუფლება იქნება.

„ისინი საქართველოს დანარჩენი მოქალაქეების მსგავს უფლებრივ მდგომარეობაში ჩაყენებას ითხოვენ“, — დასძენს კანაშვილი.

14 ᲬᲚᲘᲡ ᲚᲘᲚᲘᲐᲜᲐᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲗ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲓᲐᲜ. ამსტერდამში გამართულ მუსიკოსთა საერთაშორისო კონკურსზე Princesss Christina Competition პირველი პრიზი მოიპოვა ამსტერდამში მცხოვრებმა 14 წლის ქართველმა პიანისტმა ლილიანა კოსენმა. ლილიანა მუსიკოსების ოჯახიდანაა. მამა ვოლტერ კოსენი ვიოლინოზე უკრავს კამერულ ორკესტრში „Storioni Trio“. ორკესტრს კარგად იცნობენ ქართველი მელომანები, მათ წლების წინ წარმატებული კონცერტი ჩაატარეს ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ ცენტრში. ლილიანას დედა ნატალია გაბუნია სავიოლინო სოლო კონცერტებს მართავს მსოფლიოს უდიდეს დარბაზებში. ბაბუა ნოდარ გაბუნია გახლდათ გამოჩენილი პედაგოგი, კომპოზიტორი, პიანისტი და კონსერვატორიის ერთ-ერთი საუკეთესო რექტორი. ლილიანას პედაგოგი, ამჟამად ჰოლანდიაში მოღვაწე ქართველი პიანისტი ნინო გვეტაძე, ნოდარ გაბუნიას უსაყვარლესი მოსწავლე, არაერთი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია. ასეთ ბრწყინვალე გარემოცვაში ლილიანას სხვა არაფერი დარჩენია, რომ განაგრძოს ოჯახური ტრადიციები. გარდა ფორტეპიანოზე მუზიცირებისა, ლილიანა გატაცებულია ბალეტით.

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐ

ᲢᲠᲐᲜᲡᲒᲔᲜᲓᲔᲠᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲖᲔ



ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲛᲐ Time **ახალი ნომრის გარეკანზე მსახიობ ელიოტ პეიჯის ფოტო განათავსა, რომელმაც 2020 წლის დეკემბერში განაცხადა, რომ ტრანსგენდერია.**

ელიოტი, რომელიც მანამდე ელენ პეიჯის სახელით იყო ცნობილი, პირველი ტრანსგენდერი კაცია, რომელიც Time-ის გარეკანზე მოხვდა. ჟურნალი 34 წლის მსახიობთან ინტერვიუსაც აქვეყნებს, რომელშიც პეიჯი აღნიშნავს, რომ ბავშვობიდან უნდოდა ბიჭი ყოფილიყო.

2014 წელს პეიჯმა განაცხადა, რომ ჰომოსექსუალია, 4 წლის შემდეგ კი ქორეოგრაფ ემა პორტნერზე დაქორწინდა. მისივე თქმით, ამ ნაბიჯებმა ის დეპრესიისა და პანიკური შეტევებისგან არ იხსნა. პეიჯი აღნიშნავს, რომ მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა მხოლოდ მას შემდეგ გაუმჯობესდა, რაც მან მიიღო ის ფაქტი, რომ ტრანსგენდერი კაცია.

ამჟამად პეიჯს Netflix-ის სერიალში the Umbrella Academy იღებენ. 2007 წლის ფილმში „ჯუნო“ შესრულებული როლისთვის მსახიობი „ოსკარზე“ იყო წარდგენილი.

ᲠᲐᲡ ᲔᲠᲩᲝᲓᲜᲔᲜ 76 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲜ ᲤᲠᲐᲜᲡᲝᲜᲡ?!



ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ცნობილ რეჟისორს ალენ ფრანსონს თავს დაესხნენ. ინციდენტი მონპელიეში მოხდა.

დანებით შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა რეჟისორს მძიმე ჭრილობები მიაყენეს. 76 წლის ფრანსონს საძილე არტერია აქვს დაზიანებული. მისი მდგომარეობა მძიმეა. დანაშაულის მოტივი უცნობია.

სხვადასხვა დროს ალენ ფრანსონი პარიზისა და ქვეყნის დიდი ქალაქების თეატრალურ დასებს ხელმძღვანელობდა. 1995 და 2010 წლებში ის „მოლიერის“ პრემიის ლაურეატი გახდა.

ᲠᲘᲐᲜᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲠᲘᲐᲜᲐᲛ ᲑᲔᲕᲔᲠᲚᲘ ᲰᲘᲚᲖᲖᲔ 13,8 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲐ.

ძვირადღირებული სასახლე პოლ მაკარტნის სახლთან ახლოს მდებარეობს. რიანას ახალი სახლი 1930-იან წლებშია აშენებული და მასში 5 საძინებელი და 7 აბაზანაა განთავსებული. ამასთან, ეზოში დიდი აუზია. ადრე ეს სახლი ცნობილი ამერიკელი მწერლის სიდნი შელდონის შვილს მერი შელდონს ეკუთვნოდა.

ᲕᲘᲠᲩᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲛᲐ ᲑᲠᲔᲜᲓᲛᲐ Gucci-**მ პირველი ციფრული სპორტული ფეხსაცმელი გამოუშვა. ფეხსაცმლის ყიდვა და მორგება მხოლოდ სპეციალურ აპლიკაციაშია შესაძლებელი.**

ციფრული ფეხსაცმელი შეიქმნა ბელარუსულ კომპანია Wanna-სთან თანამშრომლობის შედეგად, რომელიც დამატებითი რეალობის გამოყენებით აპლიკაციების შექმნით არის დაკავებული.

ფეხსაცმლის შესაძენად საჭიროა Gucci-ს ან Wanna Kicks-ის აპლიკაციაში შესვლა და სასურველი დიზაინის არჩევა. Gucci-ს აპლიკაციაში ფეხსაცმელი — 12 დოლარი, Wanna Kicks-ის აპლიკაციაში კი 9 დოლარი ღირს. პროგრამების ალგორითმი კადრში ფეხის ადგილმდებარეობას დაადგენს და ზედ ციფრულ ფეხსაცმელს „დაახატავს“.

ᲕᲘᲙᲘᲞᲔᲓᲘᲐ ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ონლაინ ენციკლოპედია „ვიკიპედია“ „IT“ — **გიგანტებისთვის ფასიანი გახდება.**

ამ დრომდე ინფორმაციის უდიდეს წყაროს ყველა უსასყიდლოდ იყენებდა. თუმცა „Wikipedia Faundations“-ის ფონდმა გადაწყვიტა, რომ მილიარდიანი ბრუნვის მქონე კომპანიები, როგორებიცაა „Facebook“, „Amazoni“, „Apple“ და „Google“ ამიერიდან სოლიდურ თანხას გადაიხდიან.

WIKIPEDIA
The Free Encyclopedia

„ვიკიპედია“ ამ დრომდე ძირითადად შემოწირულობებით არსებობდა. ცნობილია, რომ კომპანია „Google“-მა რამდენჯერმე გადაურიცხა ფონდს მილიონი დოლარი, მაგრამ იგივე კეთილი ნება არასდროს გამოუჩენია, მილიარდიან „Amazon“- ს.

ასე რომ, მდიდრების ხელმომჭირნეობამ, მათთვისვე გამოიღო უარყოფითი შედეგი.

„ᲝᲥᲠᲝᲡ ᲕᲐᲖᲘ“ „�პᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ“ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲔᲬᲘᲠᲐ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ „ᲞᲠᲝᲔᲥᲢ“-ᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲔᲚᲔᲜᲯᲘᲙᲨᲘ, ᲘᲥ ᲡᲐᲓᲐᲪ „�პᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ“ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲐ, ᲐᲓᲠᲔ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲜᲐᲙᲘ „ᲝᲥᲠᲝᲡ ᲕᲐᲖᲘ“ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ. ᲛᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲔᲚᲘᲢᲣᲠ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲕᲘᲚᲐᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲑᲐᲜᲐᲙᲘ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲖᲔ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡ 66 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲠᲣᲑᲚᲐᲓ ᲘᲧᲘᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲛ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘᲑᲘᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲮᲚᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ.

ბანაკი 1968 წელს გაიხსნა. ის ატომური ხელსაწყოების მწარმოებელ ინსტიტუტს ეკუთვნოდა. 2000 წლებში ინსტიტუტი და ბანაკი „როსატომ“-ის საკუთრება გახდა.გამოცემამ დაადგინა, რომ ბანაკის მიმდებარედ მცხოვრები ადამიანები ჯერ კიდევ 2009 წელს საუბრობდნენ, რომ ახლოს „პუტინის აგარაკი“ შენდებოდა.

ბანაკის ტერიტორიის ამჟამინდელი მფლობელი ორგანიზაცია „ლაჟვარდოვანი ნაყოფია“, რომელსაც ფლობს პუტინის მეგობარი გენადი ტიმჩენკო და გარდაცვლილი მეგობრის პეტრე კოლბინის შვილი ვლადიმერ კოლბინი. ამ ორგანიზაციაზე ალექსეი ნავალნი, როგორც „პუტინის სასახლესთან“ დაკავშირებულ ორგანიზაციაზე, თავის ცნობილ ფილმში მოგვითხრობს.

მოამზადეს
ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲙᲐᲮᲐ ᲥᲝᲠᲘᲫᲔᲛ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
Ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲦᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲦᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲕᲖᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲐ: №GE19TB7601536020100009.

(ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ“ — ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ).

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 22 ᲛᲐᲠᲢᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:

ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.3252; ᲔᲕᲠᲝ - 3.9620;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.6287;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.5490; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.4433;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.9574;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.3247.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 19 ᲛᲐᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	0,	ᲓᲦᲔ	+15
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-5,	ᲓᲦᲔ	+10

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+3	ᲓᲦᲔ	+13
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-3	ᲓᲦᲔ	+8
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+4,	ᲓᲦᲔ	+13

ᲓᲐᲑᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge